პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა:
თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—20 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 500 ათ. მ.

დღიური

30 მარტისთვის დანიშნულია რუსეთის კომუნისტური პარტიის მორიგი ყრილობა.

პროფინტერნი მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს აწარმოონ სასტიკი ბრძოლა ფაშიზმთან.

გერმანიის მთავრობამ რურის ოლქის ოკუპაციის გამო 14 იანვარი გამოაცხადა გლოვის დღედ.

გერმანიის კომპარტიის აღმასკომი თხოულობს მთავრობის გადადგომას, რეიხსტაგის გაშვებას და სხვა.

ესსენის გარდა ფრანგებმა დაიკავეს ოთხი ქალაქი.

ფრანციაში მდგომარეობა მწვავდება.

№ 10 კვირა, 14 იანვარი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10.000 მან. № 10

ტფილისის მუშებო, ჯარის კაცებო და ყველა მშრომელნო!

მსგავსად წარსული წლისა, საბჭოს არჩევნებში დღემდე ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვეთ თქვენ კომუნისტურ პარტიას!

ეს არის კიდევ ერთი განაჩენი მენშევიკებისა და მათი მსგავსი კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ

კვლავაც არც ერთი ხმა შინაურ თავად-აზნაურულ და გარეშე იმპერიალისტურ ყაჩაღების სულის ჩამდგმელებსა და აგენტებს.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის კანდიდატებს.

სამშაბათს, 16 იანვარს, შესდგება
საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის
პლენუმის მორიგი სხდომა
ს. კ. პ. ც. კ. მდივანი საბაშვილი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველი ყრილობის
დადგენილების აღსასრულებლად
15 იანვრისათვის ქ. თბილისში მოწვეულია

ამიერ-კავკ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის

პირველი სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის შედგენა.
2. ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს არჩევნები.
3. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუცია.
4. მიმდინარე საქმეები.

საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე — შ. ელიავა.

---

17 იანვარს, 1923 წ.

ქალაქ ტფილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის

საგანგებო სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. რაპალოს ხელშეკრულების დამტკიცება—მომხ. (შ. ელიავა).
2. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია—მომხ (მ. ორახელაშვილი).
3. სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება—მომხსენებელი (დ. კანდელაკი).
4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება—მომხსენებელი ვ. სტურუა).
5. მიმდინარე საკითხები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი
წინადადებას აძლევს ორგანიზაციულ განყოფილებათა
გამგეებს
17 იანვ. დღის 3 საათზე გამოცხადდენ საერთო-ამიერ-კავკასიის თათბირზე
ორგანიზაციულ საკითხების გასარჩევად.
რ. კ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციული განყოფილების გამგე: იუშაკი.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ყრილობისათვის

სამწუხაროა—მაგრამ მით უფრო აღსანიშნავია—ის ფაქტი, რომ მხოლოთ სულ უკანასკნელ ხანებში იქცევა სათანადო ორგანოების მიერ ყურადღება საბჭოთა და პარტიულ ბეჭდვითი საქმეს. მიუხედავათ პარტ ყრილობებისა და კონფერენციების დადგენილებათა, მიუხედავათ [illegible] პასუხისმგებელ ინსტანციების, უმთავრესათ საერთო პარტცენტრის, ინსტრუქციებისა და ცირკულიარებისა, ჩვენი საბჭოთა და პარტპრესის და მის მუშაკთა მდგომარეობა შორს ვერ გასცილებია წარსულის ფარგლებს.

სახელმწიფოში, სადაც წარმოების ხელმძღვანელი მწვერვალები დაკავებული აქვს მუშათა კლასს და მის ხელისუფლებას, შესაძლებელი ხდება ჩვენი მოუწყობლობის გამო ის, რომ ყოველდღიური პრესა ყოველ წამს საფრთხის წინაშე სდგას შესწყვიტოს გამოსვლა უქაღალდობის გამო, ან ამ საგანზე არსებულ ისეთი ფასების გამო, რომელიც აღემატება დღეს, გაზეთის ფინანსიურ შესაძლებლობას. შეუძლებელია, წარმოუდგენელი და მიუღებელი, რომ სახელმწიფოებრივი და პარტიული პერიოდიული გამომცემლობა დროებით ლოყებ შეწითლებული „ნეპმანის" კლანჭებში იხლართებოდეს ქაღალდის ფონდის შექმნის დროის და არ მოეწყოს ამ პრესისთვის სპეციალურათ მომუშავე ქაღალდის ფაბრიკების საშუალებით სახელმწიფოებრივი გეგმიანი („ელავათიან ფასებში") უზრუნველყოფა ისეთი აუცილებელი და პირველი საჭიროების საგნით როგორიც არის ქაღალდი.

მაგრამ არა მარტო ეს დაბრკოლება ელობება წინ ჩვენ ბეჭდვითი საქმეს. ერთი მთავარი, საჭირბოროტო, თავსამტვრევი კითხვა, რომელიც უცდის და ჯერ კიდევ ვერ ეღირსა თავის გადაწყვეტას, არის გაზეთების და პოლიგრაფიულ განყოფილებათა შორის არსებულ გაუკუღმართებათა ლიკვიდაცია. სხვა და სხვა მიზეზების გამო, რომელთა გამოკვლევას ჩვენ აქ არ შევუდგებით, პოლიგრაფიულ განყოფილებათა რეჟიმი არა ნაკლებ საშიში შექნა ჩვენი გაზეთებისათვის რუსეთში და ჩვენშიაც. ამან გამოიწვია საერთო მიდრეკილება [illegible] სტამბების გაზეთებზე გადაცემისაკენ და კიდევაც გატარდა ეს ზომა მთელ რიგ მნიშვნელოვან ქალაქებში. მაშინ, როდესაც ჩვენში ამ მიმართულებით პრაქტიკულათ არაფერი არ გაკეთებულა ჯერ ჯერობით, რუსეთში საკითხის ასეთი გადაწყვეტა თითქმის საერთო წესათ ხდება თანდათან.

დამახასიათებელია ამ მხრივ რუსეთის კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბეჭდვითი საქმის ქვეგანყოფილების მიმართვა, რომელიც ამ დღეებში ჩვენც მივიღეთ საანკეტო ფურცლის სახით, სადაც სხვათა შორის ასეთი კითხვა არის დასმული:

„გადაეცა თუ არა გაზეთს სტამბა, თანახმათ რ. კ. პ. ცეკას საგიტპროპ. განყოფილების ტელეგრამისა?"

აი ერთი უბრალო ფორმალური მომენტი, დამამტკიცებელი იმის, თუ როგორ მოიწიფა ეს საკითხი და როგორ სწყდება ის თანდათან.

ცხადია ჩამოთვლილი დაბრკოლებანი მძიმე ლოდივით ჩამოჰკიდებია კისერზე ჩვენ პრესას და ეს სწორეთ მაშინ, როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში გართულებულია მისი ამოცანები და მოვალეობა მუშათა კლასის, მისი პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე.

მაგრამ ამის გარდა საჭიროა კიდევ სხვა კითხვების გათვალისწინება.

ყოველ საქმეს ესაჭიროება მისი შემსრულებელთა არმია. ასეთია ჩვენ შემთხვევაში ბეჭდვითი საქმის მუშაკნი, რომელთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება აუცილებელია, რათა მათ პირნათლათ შეასრულონ თავისი მოვალეობა. და ეს ითქმის უმთავრესათ და ხაზგასმით ამ მუშაკთა დაბალ კატეგორიებზე.

თუ რუსეთში ამ მხრივ ჩატარდა დიდი მუშაობა და მათი მდგომარეობა შედარებით უკეთეს პირობებშია დღეს, იგივე ვერ ითქმის ადგილობრივ მუშაკთა შესახებ. სატარიფო საკითხი, რომელიც კარგი ხანია გადაწყვეტილია და ტარდება უკვე ცხოვრებაში რუსეთში, მხოლოთ დღეს ისმის იქ მიღებული ახალი პრინციპის მიხედვით ჩვენში, რესპუბლიკის მასშტაბით, და მოელის თავის გადაწყვეტას.

ჩვენ არ დავმალავთ, რომ ახალი ტარიფები, რომელთა გატარება განძრახული აქვს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციას მძიმე ტვირთათ დააწვება პარტსაბჭოთა პრესის მეურნეობას, მაგრამ საჭიროა გამონახულ იქნას ორივე მხარისათვის მისაღები ინტერესთა შეთავსების მოდუსი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო რუსეთშიაც სატარიფო მოსამზადებელი მუშაობის დროს.

ყველა ამ კითხვებთან იქნება საქმე სექციის სრულიად საქართველოს ყრილობას, რომელიც იკრიბება დღეს ტბილისში.

ყრილობამ უნდა ამოირჩიოს დელეგატი ბეჭდვითი საქმის მუშაკთა რესპუბლიკათა საკავშირო ყრილობაზე. საჭიროა, რომ ადგილობრივმა დელეგატებმა ხმა მაღლა გააცნონ საკავშირო ყრილობას ის საჭიროება ადგილობრივი პრესის, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ, როგორც დღევანდელი, ისე სრულიად საკავშირო ყრილობა ბეჭდვითი საქმის მუშაკებისა, გამოიყვანს დაბოლოს პარტსაბჭოთა პრესას ბრძოლის ფართო გზაზე, ფრთაგაშლილსა და განთავისუფლებულს შემბორკავი დაბრკოლებებისაგან.

მხოლოთ ამ შემთხვევაში შეასრულებს პრესა თავის დიად მოვალეობას რევოლიუციის წინაშე.

ამხ. ლენინი სახალხო განათლების შესახებ *)

ვლადიმირ ილიჩის ყოველი სტატია არის, რასაკვირველია საჩუქარი პარტიისა და რუსეთისათვის ზოგიერთ შემთხვევაში კი—და ძლიერ ხშირად,—მთელი ქვეყნისათვის, რომელიც ტანჯვაში იშვება ამ ჟამად.

წერილი, რომელიც გამოქვეყნებული იყო „პრავდა"-ს № 2 ში, **) არის განსაკუთრებით საჩუქარი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო განათლების აპარატისათვის. ეს აპარატი კი მეტად დიდი და მნიშვნელოვანია. ეს საჩუქარი ეკუთვნის არა მარტო განათლების სახ. კომისარიატის მუშაკებს ცენტრში და ადგილებზე, არა მარტო მასწავლებლებს და ყველა მშრომელთ განათლების დარგში, არამედ აგრეთვე მოზარდ თაობასაც, რომელიც სწავლობს, და ამ თაობის მშობლებს, რომ ლენინიც იმედის თვალით შესცქერიან მას.

მე წარმოდგენილი მაქვს რომ იმ სიხარულის შემდეგ, რომელიც მე განვიცადე ჩვენს ამ ცოტა ხნის წინედ დაწყებულ ფრონტის სექტორზე, და რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენ უეცრად გვეწვია, მსოფლიო რევოლიუციის მთავარსარდალი, იგივე სიხარული მოიცავს რუსეთის ყველა კუთხეებს, სადაც კი იპოვება კაცი რომელიც ხალხს განუმარტავს ამ წერილის შინაარს.

ეხლა გადავიდეთ ვლადიმირ ილიჩის წერილის შინაარსზე.

რასაკვირველია ვლადიმერ ილიჩმა პირველ რიგში დასვა ის ამოცანა, რომელიც უნდა დასმულიყო თავიდანვე ე. ი. მასსიური განათლების ამოცანა, და ამავე დროს, უპირველეს ყოვლისა, პრობლემა მასიური განათლების საქმის სწორათ დაყენებისათვის ძირითად წინასწარი პირობის შექმნისა. ჩვენ დიდათ ვაფასებთ საბჭოთა ყრილობის ავტორიტეტულ გადაწყვეტილებას, რომელმაც მიიღო განათლების სახ. კომისარიატის რეზოლიუცია და მიუთითა მთელ რიგ ღონისძიებებზე, რომლის გატარება საჭიროა, რათა დავიხსნათ სკოლა უკანასკნელ დროს გამწვავებულ კრიზისისაგან.

მაგრამ განსაკუთრებულ რელიეფს ყრილობის ეს გადაწყვეტილება, მიღებული განათლების სახ. კომისარის მოხსენების გამო, ღებულობს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის აღმასრულებელ აპარატის ხელმძღვანელის მიერ სათანადო საკითხების სისწორით და მარტივად დასმის შემდეგ.

„საჭიროა, რომ ჩვენი ბიუჯეტის უახლოეს გადასინჯვის დროს პირველ რიგში შემცირებულ იქნეს არა განათლების სახ. კომისარიატის, არამედ სხვა უწყებების ხარჯები, რათა გადარჩენილი თანხები მოხმარდეს განათლების სახ. კომისარიატის მოთხოვნილებებს".

საბჭოთა მთავრობის აღმასრულებელ აპარატის ხელმძღვანელის ეს აზრი სავსებით ეთანხმება ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს დადგენილებას, რომელიც ამბობს: „წინადადება მიეცეს სახ. კომისართა საბჭოს გამონახოს საშუალება სახელმწიფოს საერთო ბიუჯეტში. განათლების სახ. კომისარიატის ნაწილის გადიდებისათვის".

და მიჰყვება რა თავის აზროვნების ხაზს ლენინი ამბობს:

— „არ უნდა გამოვიჩინოთ სიძუნწე მასწავლებელთათვის პურის ულუფის გადიდების დროს, ისეთ წელს, როგორიცაა მიმდინარე, როდესაც ჩვენ შედარებით საკმაოდ უზრუნველყოფილი ვართ".

ვლადიმერ ილიჩი უფრო შორს მიდის და სრულის თანხმობით ყრილობის გადაწყვეტილებასთან, რომელიც მიუთითებს მრავალ მასწავლებელთა გმირულ ბრძოლაზე და მოითხოვს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ზომების მიღებას, რათა მასწავლებლის მდგომარეობა გაუთანაბრდეს მრეწველობის კვალიფიცირებულ დარგების მუშათა მდგომარეობას, იძლევა ასეთ დირექტივას:—„სახალხო მასწავლებელი ჩვენთან უნდა დაიდგას ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც ის არასოდეს არ მდგარა, არ სდგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს არის ჭეშმარიტება, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება. ეს მდგომარეობა ჩვენ უნდა შევქმნათ სისტემატიურად, გადაუხვევლად, ენერგიული მუშაობით განათლების მუშაკის სულიერი აღორძინებისათვის და ყოველმხრივ მომზადებისათვის უმნიშვნელოვანესი როლის შესასრულებლად და, უმთავრესი, უმთავრესი და უმთავრესი—მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის".

უკანასკნელ ხანებში არა ერთხელ წამოყენებულ იქნა, და ჩემ მიერ სახალხო განათლების მოსკოვის განყოფილებაში გამართულ დიდ მოხსენებაში აღვნიშნე საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო, სახელმწიფო საშუალებათა სიმცირის გამო, მთელი ჩვენი ყურადღების მიპყრობა სახ.-განათლების საქმისათვის განსაკუთრებით განათლების დარგში მომუშავე პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. და აქაც, განათლების სახ. კომისარის საერთო ხაზთან სრული შეთანხმებით, ვლადიმერ ილიჩი გადაჭრით სვამს საკითხს სწორად: პროლეტარიატის ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ თითონ მიიღოს განათლება, არამედ პარალელურად, იქვე, დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას სოფლად კულტურის ჩანერგვისათვის.

მომავალში ერთ ერთ ჩემს წერილს „იზვესტია"-ში, და შეიძლება არა მარტო ერთს, მე მოვანდომებ სპეციალურ საკითხებს სოფელში კულტურული მუშაობის შესახებ. მე მაშინ მკითხველებს მოვაგონებ ამ მუშაობის შესახებ მე VIII პარტიული ყრილობის მიერ მიღებულ მეტად შინაარსიან რეზოლიუციას, რომელიც ცხოვრებამ განზე დასტოვა, უპირველესად ყოვლისა, რასაკვირველია, პედაგოგების სიმცირის გამო ბევრ რამეში ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ ამ საკითხის მაშინდელ სწორ დაყენებას.

ყველაფერი ეს ვლადიმერ ილიჩის წერილში მეტად მნიშვნელოვანია. ყველა ამას სწერს არა პუბლიცისტი არამედ მთავრობის, როგორც ასეთის უდიდესი ფიგურა, და ამიტომ არც ერთი სიტყვა არ უნდა დარჩეს უბრალო სურვილად: ჩვენი რესპუბლიკის ძალ ღონის მიხედვით ის დაუყოვნებლივ გატარდება ცხოვრებაში.

ა. ლუნაჩარსკი

---

*) ვათავსებთ ამხ. ლუნაჩარსკის წერილს შემოკლებით.

**) დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის გუშინ დელ №-ში. რედ.

შრომის ახალი კანონების კოდექსი

II.

მუშა-მოსამსახურეთა დაქირავების და დათხოვნის წესი.

შრომის კანონების ახალ კოდექსში საკმაო ადგილი უჭირავს მუშა მოსამსახურეთა მიღებას და დათხოვნას. მართლაც ეს ორი მომენტი ფრიად მნიშვნელოვანი არის მშრომელისათვის და მისი დეტალიზაცია და ნათლათ ჩამოყალიბება აუცილებელია, რათა ბუნდოვნობას და სხვანაირად გაგებას ადგილი არ ქონდეს.

ახალი კოდექსით დაქირავება და მუშაობის მიწოდება ხდება თავისუფალი წესით, უწინ კი, ეგრეთ წოდებულ სამხედრო კომუნიზმის დროს შრომის თავისუფლებას ადგილი არ ჰქონდა, ყველა ვალდებული იყო ეშრომა და სამუშაოზე უარის თქმა არ შეეძლო. ასეთივე წესი იყო საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარების პირველ ხანებში 1921 წლის დამლევამდი. მომუშავეთა დაქირავება ხდებოდა ზოგიერთ შემთხვევებში, როცა ამას საჭიროება თხოულობდა, იძულებითი წესით. მაგალითად თბილისში ჩატარდა მელითონეთა, მეწაღეთა, ფოსტელთა, მასწავლებელთა და სხვების შრომის მობილიზაცია.

ეს იძულებითი მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება გამოწვეული იყო მაშინდელი მდგომარეობით. სამუშაო ხელფასი იყო ძლიერ მცირე, ქალაქში ცხოვრება კი ძვირი და ყველა სოფელს აფარებდა თავს.

იძულებითი დაქირავებას ახალი კოდექსი ცვლის თავისუფალი შრომით, ვისაც სურს ის იმუშავებს. მაგრამ შრომის მიწოდება დაქირავება ახალი კოდექსის ძალით ხდება მხოლოდ შრომის კომისარიატის ორგანოების საშუალებით.

ის პირნი, რომლებიც სამუშაოს ეძებენ, ვალდებული არიან ჩაეწერონ, როგორც უმუშევრები შრომის ბირჟაში.

ყველა წარმოება და დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ვალდებული არიან მიიწვიონ სამუშაოდ დასაქირავებელნი შრომის ბირჟის საშუალებით. მის გარეშე დაქირავება კოდექსის ძალით სასტიკათ აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შრომის ორგანო მოთხოვნილებას სათანადო კვალიფიკაციის მუშა ხელზე ვერ აკმაყოფილებს სამი დღის განმავლობაში იმ დღიდან მოთხოვნილების მიღებისა, ასეთი წესი სრულ საშუალებას აძლევს წარმოებას, რომ მუშა ხელის მიწოდების დაგვიანების შემთხვევებში, მუშაობის საქმე არ შეაფერხონ და თვითონ აიყვანონ მუშები. აგრეთვე ნებადართულია შრომის ბირჟის გარეშე სამუშაოზე მიწვევა იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა პოლიტიკურათ სანდოობა ან სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირი, თუ კი, რასაკვირველია, ეს ცოდნა დაკავშირებულია პიროვნებასთან (**связано с личностью приглашенного**).

რათა ეს გამოყენებული არ იქნეს გლახათ, შრომის კომისარიატის ორგანოები პროფესიონალურ კავშირებთან ერთად საზღვრავენ სიას ასეთი თანამდებობისას.

ზემო მოყვანილ შემთხვევებში შრომის ბირჟის გარეშე დაქირავებული წარმოება და დაწესებულება ვალდებულია გაატარონ შრომის ბირჟაში შემდეგი რეგისტრაციით (**с последующей регистрацией**).

კოდექსის ძალით დამქირავებელი ვალდებულია დასაქირავებელს სწორეთ აცნობოს შრომის პირობები. ყალბი ცნობების მიცემაზე პასუხს აგებს ის. ეს აუცილებელია, ვინაიდან მუშამ წინდაწინ უნდა იცოდეს, თუ როგორ პირობებში მოუხდება მას მუშაობა და შეუძლია თუ არა დაკისრებულ მუშაობის შესრულება.

შრომის ორგანოს მიერ გაგზავნილი მუშა ან მოსამსახურე წარმოება-დაწესებულებაში მისვლისთანავე არ ირიცხება მიღებულათ. მის საბოლოო მიღებას წინ უძღვის ეგრეთ წოდებული გამოცდა თუ რამდენათ შეეფერება გამოგზავნილი პირი იმ თანამდებობას და მუშაობას, რომლის თვისაც ის მოწვეული იქნა.

ამ გამოცდის ხანგრძლივობა მუშისათვის განისაზღვრება 6 დღით, მოსამსახურეებისათვის ორი კვირა, პასუხისმგებელ და სპეციალისტ მოსამსახურეებისათვის ერთი თვე, რომლის შემდეგ ჩაითვლებიან დაწესებულებაში მიღებულათ და სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომელიც შემოღებულია წარმოებაში მუდმივ მუშა-მოსამსახურეთათვის.

თუ გამოსაცდელ დროის განმავლობაში დამტკიცდა, რომ მომუშავე არ შეეფერება იმ მუშაობას, რომლისთვისაც დაქირავებულია, დამქირავებელს შეუძლია ის უკანვე (შრომის ბირჟაში) გაგზავნოს ნამუშევარი დღეების სამუშაო ხელფასის დაკმაყოფილებით, ხოლო სამუშაო ხელფასის რაოდენობა არ უნდა იქნეს იმაზე ნაკლები, რაც ეკუთვნის იმ ხარისხს (კატეგორიას), რომლისთვისაც მის დაქირავებას აპირებდნენ.

გამოსაცდელ დროის გათავებამდე მუშა ითვლება უმუშევრათ და არ კარგავს თავის რიგს უმუშევართა შორის შრომის ბირჟაში.

სანამ დათხოვნის წესებზე გადავიდოდეთ საჭიროა უჩვენოთ, თუ რამდენი ხნით შეიძლება დაქირავება.

ამაზე კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაქირავების პირობის დადება შეიძლება განუსაზღვრელი ვადით, განსაზღვრული ვადით და რაიმე სამუშაოს ასასრულებლათ.

როცა დაქირავება სწარმოებს **განსაზღვრულ ვადით** (ერთი, ორი, სამი თვე, სეზონი ან სხვა) ან **რაიმე განსაზღვრული სამუშაოს ასასრულებლათ**, დათხოვნის დროც დავას არ გამოიწვევს. გათავდა განსაზღვრული ვადა ან გაკეთდა სამუშაო, მუშაც დათხოვილათ ითვლება.

განსაზღვრული ვადით და განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლათ დაქირავება უფრო იშვიათია, უმეტეს ნაწილათ კი მუშა-მოსამსახურეს ქირაობენ **განუსაზღვრელ ვადით** თითქმის ყველა მუდმივი მომუშავე ითვლება განუსაზღვრელ ვადით დაქირავებულათ, ვინაიდან ნორმალურათ დაყენებულ ქარხანაში ან დაწესებულებაში, წინდაწინვე განსაზღვრა თუ როდის დაიხურება ის, შეუძლებელია.

აი სწორეთ ყველაზე მეტი კონფლიქტი დათხოვნის გარშემო ხდება განუსაზღვრელ დროთი დაქირავების დროს. შრომის ახალი კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ მომენტს და დაწვრილებით ეხება დათხოვნის წესებს თუ რა მიზეზით და რა პირობებში შეიძლება დათხოვნილი იქნეს მომუშავე კოდექსის ძალით დათხოვნა შეიძლება შემდეგ შემთხვევაში:

ა) წარმოება-დაწესებულების სრული ლიკვიდაციის ან შტატის შემოკლების დროს.

ბ) თუ მუშაობა შეჩერდა ერთ თვეზე მეტი და ეს შეჩერება გამოწვეულია წარმოების ხასიათის (მასალების არ ქონა და სხვა).

ვ) თუ მომუშავე ვერ გამოდგა მუშაობისათვის გ) თუ მომუშავე უმიზეზოთ სისტემატიურათ არღვევს წარმოების შინაურ წესს განაწესს ან არ ასრულებს არსებულ ხელშეკრულების დავალებებს.

დ) თუ დაქირავებულმა ჩაიდინა რაიმე დანაშაული და ეს ეხება მის მოვალეობის ასრულებას (მაგალითად ქურდობა ან ქარხნიდან ფაბრიკატის მოპარვა) მაგრამ ეს დანაშაული დამტკიცებული უნდა იყოს ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით.

როცა მომუშავე სხვა რაიმე სამსახური გარეშე მიზეზით არის დატუსაღებული, მას ენახება მხოლოდ ორი თვე სამსახური, რომლის შემდეგ წარმოებას შეუძლია ის დაითხოვოს.

ე) თუ მომუშავე არ მოვიდა სამუშაოდ უმიზეზოთ სამი დღის განმავლობაში ზედიზედ ან თვეში სულ ექვსი დღე.

ვ) შრომის უნარ დაკარგვის (ავათმყოფობის დროს, მხოლოდ თუ ეს დრო გადასცილდება ორ თვეს, რის შემდეგ მომუშავეს არჩენს და დახმარებას აძლევს სამუშაო ხელფასის რაოდენობის მიხედვით სავადმყოფო კასა).

კოდექსი არ აძლევს ნებას თვით დამქირავებელმა გადაწყვიტოს დათხოვნის ის მომენტები, რომელიც მოითხოვს დასაბუთებას და დამტკიცებას. მაგალითად მომუშავის უვარგისობა ან შინაური წესის დარღვევა და თავის მოვალეობის არ ასრულება. ამ შემთხვევებში დავას არკვევს და სწყვეტს შემფასებელი საკონფლიქტო კომისია, რომელიც შესდგება ადმინისტრაციის და მუშების თანასწორ რიცხვის წარმომადგენლებისგან.

ამ რიგათ კოდექსით გათვალისწინებულია ყველა ის შემთხვევა როცა დაქირავებულის დათხოვნა შეიძლება, რაც თვითეულ მუშა-მოსამსახურეს გარანტიას აძლევს, რომ ის უმიზეზოთ და უკანონოთ არ იქნება დათხოვნილი.

ხ. გოდამბრეძე.

როზა ლიუკსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მკვლელობის ოთხი წლის თავზე

მუშათა კლასი კაპიტალისტურ წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, სანამ საბოლოოდ გაიმარჯვებდეს განიცდის ხოლმე ნაწილობრივ დამარცხებას.

გერმანიის 1918 წ. რევოლიუციის განვითარება, დროებით შეჩერებული იქნა ბურჟუაზიის და მენშევიზმის გაერთიანებული კავშირის წინააღმდეგობით. ბერლინის რევოლიუციონერმა პროლეტარიატმა, ძველ წესწყობილების დამცველთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაკარგა საერთაშორისო რევოლიუციონური სოციალიზმის მშვენება, კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუკსემბურგი.

გერმანიის 1918 წ. რევოლიუცია დააჩქარა იმპერიალისტურმა ომმა. მუშათა კლასმა ჰოჰენცოლერნების მეფობას ბოლო მოუღო. გერმანიის რევოლიუციის პირველი პერიოდი, 1918 წლის ცხრა ნოემბრის, 1918 წლის 9 იანვრამდის, ხასიათდება ქაოტიური მოძრაობით, რომელსაც პროლეტარული ელფერი მისცა რამოდენიმეთ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა; ბრძოლა საბჭოებისათვის, რევოლიუციის გამარჯვებისათვის, აუცილებელი იყო. შეიდემანი და ებერტი ცდილობდნენ გამოეყენებიათ, რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოები.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კავშირი კონტრ რევოლიუციასთან, ყველასათვის ცნობილი ფაქტი იყო. დამოუკიდებლებმაც რევოლიუციონურ ბრძოლის უუნარობით, გასცეს პროლეტარიატის ინტერესები. ჰაზეს და შეიდემანის კავშირი ბურჟუაზიის მტკიცე დასაყრდენი ბოძი შეიქნა რევოლიუციის წინააღმდეგ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, იცავდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აპარატის ხელშეუხებლობას. წარმოების სოციალიზაცია უსაფუძვლოთ მიაჩნდა, რადგან უკანასკნელის განხორციელება, გამოიწვევდა მათ კონფლიქტებს ბურჟუაზიასთან.

სოციალ დემოკრატიამ, კაპიტალისტურ კერძო საკუთრების დაცვით და რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლით, შეინარჩუნა თავისი ინტიმიური კავშირი ბურჟუაზიასთან.

ამ რიგათ, კოალიციონური მთავრობა, წარმოადგენდა იმ რეაქციონურ ძალას, რომლის მოვალეობაც იყო, ძველი წესწყობილების დაცვა.

ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძოდა, რევოლიუციონური პროლეტარიატი „სპარტაკის" მეთაურობით.

„სპარტაკი"—როზა ლიუკსემბურგის, კარლ ლიბკნეხტის, ფრანც მერინგის, კლარა ცეტკინს და სხვათა მეთაურობით, შეადგინა პროლეტარული რევოლიუციის ავანგარდს მისი პროგრამა შეიცავდა სოციალისტური რევოლიუციის მთელ შინაარს: ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შეცვლა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოთი, პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურის განხორციელებით; შეურიგებელი ბრძოლა შეიდემან-ებერტის მთავრობის წინააღმდეგ.

1919 წ. 9 იანვრიდან, ბერლინის პროლეტარიატი, შეიარაღებულ ბრძოლას შეუდგა, კოალიციონურ მთავრობის წინააღმდეგ.

14 იანვარს მრავალ აჯანყებულ მუშებთან ერთად, კარლ ლიბკნეხტს და როზა ლიუკსემბურგს სიცოცხლე მოუსპეს.

სოც. დემოკრატიამ, პროლეტარიატი გასცა და მათი ხელმძღვანელები თეთრ-გვარდიელებს ჩაუგდო ხელში.

სოც. დემოკრატ პოლიციის უფროსის ხელმძღვანელობით, ბურჟუაზიამ, „წესრიგი" აღადგინა ბერლინში

აჯანყების ჩაქრობის მიზეზებით, ბურჟუაზიამ, ს.-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, დროებით თავი დააღწია პროლეტარიატის რევოლიუციონურ დიქტატურას.

აჯანყების დამარცხების დამთავრებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ „სპარტაკი" მაშინ არ იყო მასსიური პარტია; მოწინააღმდეგეთა ჯარის დიდი უმრავლესობა ბანაკში აღმოჩნდა აგრეთვე, მატროსების და სახალხო მილიციის აჯანყებულებისადმი დაუხმარებლობამ, გამოსვლების ბედი გადასჭრა. ბურჟუაზია, იმპერ. ჯარი, იუნკრები, სპეკულიანტები, სოც. დემოკრატები, სამღვდელოება და ყველა ჯურის შავრაზმელები, ბერლინის აჯანყებულ პროლეტარიატს წინააღმდეგ, მთლიანი ფრონტით გამოვიდნენ და მათი მხეცობა აჯანყებულ მუშების მიმართ, აჭარბებდა იმ ავაზაკობას, რომელსაც გერმანიის იმპერ. ჯარი სჩადიოდა ბელგიაში.

კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუკსემბურგი ძლიერი მოწინააღმდეგენი იყვნენ საერთაშორისო მენშევიზმის. მათი დებულება, რომ სოც. დემოკრატია ხელს აღებს კლასიურ ბრძოლაზე, გამართლდა დღეს: მეორე ინტერნაციონალი თეორეტიულადაც უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურას და შეურიგებელ კლასიურ ბრძოლას საზოგადოთ. ამაზე მოწმობს კ. კაუცკის უკანასკნელი „აღმოჩენა" მარქსის მოძღვრებაში, „აღმოჩენა" გადაკეთება, კუნოს და „ორგეშის" ყაიდაზე. იმ რევოლიუციონურ მოძრაობის გაკვეთილიდან, რომელიც თან მოჰყვა უკანასკნელ ომს, კ. კაუცკის გამოჰყავს დასკვნა, რომ კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის ძევს გარდამავალი ხანა, რომელსაც შეეფერება არა რევოლიუციონური დიქტატურა, როგორც მარქსი ამბობდა, არამედ კოალიციონური მთავრობა. ცხადია, რომ კ. კაუცკის ხუცურ აზროვნებას კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუკსემბურგის რევოლიუციონურ თეორიასთან და პრაქტიკასთან არ შეეძლო რაიმე საერთო ჰქონოდა.

გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი, თავის უკვდავ ბელადების გზით მიდის კომუნიზმისაკენ. როზა ლიუკსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის რევოლიუციონური მოღვაწეობა მუშათა კლას ეუბნება, რომ მხოლოთ კლასიური ბრძოლით, რევოლიუციონური დიქტატურის განხორციელების საშუალებით, იქნება შესაძლებელი სრული მათი განთავისუფლება კაპიტალისტურ ექსპლოატაციისაგან.

კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუკსემბურგი კვლავ საშიში მოწინააღმდეგენი დარჩენ საერთაშორისო მენშევიზმისათვის. „სპარტაკის" ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის წინმსვლელობა იმ წერტილამდის მივიდა რომ 1919 წ. ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა დროებით ფაქტი შეიქნა. ეს არის მძლავრი არგუმენტი მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ რადგან მისი ბელადების (ბაუერი და კომპ.) აზრით საბჭოთა სისტემა მისაღებია ბარბაროსულ ქვეყნებისთვის. „სპარტაკის" რევოლიუციონურმა ბრძოლამ საქვეყნოთ დაამტკიცა, რომ საბჭოთა სისტემა „კულტუროსან" ევროპისთვისაც ისტორიულ აუცილებლობას შეადგენს. ამის ნათელყოფა არის მხოლოთ ერთი მომენტი დიდი რევოლიუციონური ღვაწლის, რომელიც მიუძღვის „წითელ როზას" და კარლ ლიბკნეხტს საერთაშორისო რევოლიუციონურ სოციალიზმის წინაშე.

მათი იდეა და საქმე იმარჯვებს ამ გამარჯვების მატარებელია ორგანიზაციულათ და პოლიტიკურათ, იდეურათ ძლიერი, გერმანიის კომუნისტური პარტია, რომელიც იბრძვის პროლეტარიატის რევოლიუციონურ დიქტატურისა და საბჭოთა სოც. რესპუბლიკის განხორციელებისათვის.

ქ. გორდელაძე.

მარქსიზმის შესწავლისა და გავრცელებისათვის

საბჭოთა ხელისუფლების და სოციალისტურ აღმშენებლობის ყველა პრაქტიკულ ამოცანათა გადაჭრა ითხოვს მარქსისტული თეორიით აღჭურვილ ხელმძღვანელებს.

ბურჟუაზია, როგორც ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაბატონებული კლასი, მეცნიერების ყველა ფეროში შეიჭრა და იქაც გაბატონდა. ეს მდგომარეობა დიდ პრივილეგიებს ანიჭებს მას, პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში, კაპიტალისტურ წესწყობილების გახანგრძლივებისათვის. მუშათა კლასი მხოლოთ მაშინ მიაღწევს სრულ გამარჯვებას ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე, როდესაც თვით ხელში,—მოიმარჯვებს თავის კლასიურ იარაღს, კ. მარქსის და ფ. ენგელსის მოძღვრებას, მეცნიერულ კომუნიზმს, რომელიც მას ანიჭებს დიდ საშუალებას რევოლიუციონური ბრძოლის საწარმოებლათ და სოციალისტურ აღმშენებლობის გამარჯვებით დასაგვირგვინებლათ.

ამ მხრივ მარქსიზმის შესწავლას და გავრცელებას, საქართველოშიც, თავისი ისტორია აქვს.

მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისიდანვე, მათი ხელმძღვანელები ცდილობდნენ [illegible] ცოდნა გადაეცათ მუშათა წრეებისათვის. ცარიზმის ბატონობის ხანაში, დიდი ვაივაგლახით იწყობოდა ვიწრო პარტიული წრეები, რომელთა მიზანი იყო მარქსიზმის შესწავლა და გავრცელება.

ამ მუშაობის შედეგია ის, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიას ჰყავს საკმაო კადრი, მარქსისტული თეორიით შეიარაღებული მუშაკებისა.

მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების და მმართველ პარტიის წინაშე დაისვა კითხვა, პარტიის წევრთა მარქსისტული ცოდნით მომზადებას რეგულიარული ხასიათი მისცემოდა.

ამ მიზანს ემსახურება **საქართველოს ცენტრ პარტშკოლა.** ის ამზადებს კვალიფიცირებულ მუშაკებს, საბჭოთა და პარტიულ სფეროში. მარქსიზმის შესწავლის მოთხოვნილება პარტიულ მასაში დიდია და მისი დაკმაყოფილება შესაძლებელია ცენპარტშკოლაში მეცადინეობის შესაფერ სიმაღლეზე დაყენებით.

ამ მხრივ კომპარტიის ცეკას მიერ მიღებული ღონისძიება: პარტსკოლის უზრუნველყოფა კვალიფიცირებულ ლექტორთა ძალების, მდიდარ პერსპექტივებს შლის მარქსიზმის შესწავლისა და გავრცელების საქმეში. მხოლოდ ამ გზით იქნება დაკმაყოფილებული სულიერი წყურვილი პარტიულ ფართო მასისა.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმასაც, რომ ნებადართულია თავისუფალ მსმენელთა დასწრებაც ცენპარტშკოლაში ლექციებზე—ეს გარემოება ადგილობრივ პარტიულ მომუშავეებს აძლევს შესაძლებლობას ლექციების მოსმენისას. ეს გარემოება ხელიდან არ უნდა გაუშვას პარტიულმა მასამ და შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ესწრებოდეს ლექციებს. საქართველოს ცენპარტშკოლის თავისუფალ მსმენელთა აუდიტორიაში უნდა შედიოდნენ აგრეთვე ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები.

კომუნისტური ახალგაზრდობის პირდაპირ მოვალეობას შეადგენ, მხნეთ შეუდგნენ თავიდანვე მარქსიზმის შესწავლას და გავრცელებას, რადგან გარემოება ხელშემწყობი ხდება.

ვაჩ.

ივერიელი

არჩევნები თბილისის საბჭოში

დღეს ირჩევენ:

მე-2 რაიონში

დღეს 10 საათზე ელექტრიკები.

დღეს 4 საათზე. მუშკოპი.

მე 3 რაიონში

დღეს 9 საათზე მუშები კერძო ფურნეების, მაკარონის ფაბრიკის, ტყავის დასარბილებელი წისქვილი, კრახმალის ფაბ. (კახეთის ქ. № 21).

დღეს 10 ს. მეაბანოეები.

დღეს 11 ს. გარნიზონის სასურს. საწყობი, სამხედრო წისქვილი და სასურსათო მაღაზია.

საღამოს 5 ს. მუსულმან მუშათა ცოლები და დები. (მუსულმან ქალთა კლუბი).

15 იანვარს

მე 4 რაიონში.

საღამოს 5 ს. 1, 2, 3 და 4 მილიციის კომისარიატები, სისხლის სამართლის მილიცია, რეზერვი.

დღის 2 ს. შინამრეწველები, სანიტარული შრომის მუშაკნი (რუსთაველის თეატრი).

საფრანგეთის კომუნისტების არჩევა ტფილისის დეპუტატების საბჭოში

ჩვენ, ქალ. ტფილისის მე-2-ე რაიონის მუშა—მელითონეებმა, თავის საარჩევნო კრებაზე ა. წ. 12 იანვარს გავიგეთ რა საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ ე/კ-ის თათბირის მონაწილე კომუნისტების დატუსაღების შესახებ, თანაგრძნობას უცხადებთ და პატიმრებულთ ვირჩევთ რა ამხ. ამხ. კაშენს, მუნიოსოს, მარანს, პიერრის, გურდოს, ტრეინს და ლარტეინს ტფილისის მუშათა, წითელ-არმიელთა და გლეხთა საბჭოს საპატიო წევრებად.

ჩვენ მოუწოდებთ საფრანგეთის მუშებს მხარი დაუჭირონ ამ ამხანაგებს რურის ოლქის ოკუპაციის გამო საფრანგეთის კაპიტალისტებთან ბრძოლის დროს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საფრანგეთის მუშები სისწორით გაიგებენ არსებულ მომენტს და სათანადო წინააღმდეგობას გაუწევენ ბურჟუაზიას.

გაუმარჯოს საფრანგეთის მუშათა კლასის ბრძოლას!

გაუმარჯოს მე 3-ე ინტერნაციონალს, რომლის დროშის ქვეშ სწარმოებს ეს ბრძოლა!

ქ. ტფილისის მე II რაიონის

მუშა მელითონეები.

არჩეულნი არიან:

1 რაიონი.

„უჩტპო“ და „ზაკტპო“

ჩერემკოვი, ვარლამოვი, აკოპჯანოვი—კომუნისტები.

ტიპო-ლიტოგრაფია

კუზნეცოვი ალექსანდრე—კომ.

რ. ფ. საგანგებო კომისია

ქავთარაძე გიორგი—კომუნ.

რკინის გზის სავადმყოფო

ნარჩემაშვილი, მიხაილოვი ივანე, იგლინა მარია, შავერდოვი არამი—კომუნისტები.

მე-2-ე რაიონი.

მუშების ცოლები:

ლიონზინსკაია კომუნ., გრიგულოვა ვერა უპარტიო.

კანდიდატები.

გოცირიძე ანა უპარტიო.

მილიცია:

ქორიძე გრიგოლ, ხარაბაძე სიმონ კომუნ.

კანდიდატები.

ჩ. ჩაევი, [illegible] კომუნ.

მელითონეები:

საპატიო წევრად არჩეულნი არიან ბურჟუაზიის მიერ დაპატიმრებული კომუნისტები ამხ. ამხ. მუნიოსსო, მარანი, პიერრი, გურდო, ტრეინი, ლარტეინი და კომუნიზმის შეუდრეკელი მებრძოლი ამხ. კაშენი.

ბ. ხუტაროვი კომუნისტ., ვაშაკიძე ახალ. კომ. კავშ. წევრი, პოლოვინსკი ივანე, მიხაილოვი, [illegible], ცირულოვი, [illegible] კომუნისტ.

კანდიდატები.

ელ. ზაროვი, იგნატოვი, დაუდოვი (კომუნისტები)

ფეიქრები.

არეშიძე ნინა, კალალოვა—კომუნისტები. ზავ. ნისოვი [illegible]—უპარტიო.

კანდიდატები.

ამირბეკოვი ავეტიკ, მეაკოვი—უპარტიოები.

ცენტრალური საწყობი და ს. სახ. კომ. სატრაქტორო ეზო.

კორინაშვილი ალექსანდრე—კომ.

არჩევნები მე-3-ე რაიონში.

რ. ლიუქსემბურგის სახელობის სართავი არტელი, არტელისათვის სახლში მომუშავე ქალები, საფეიქრო არტელი, სამხატვრო პროფესიონალური სახელოსნო „განათლება“.

ალიქსანდროვა, გარმალაჯევა ლ., ქიქოძე—კომუნისტები. მალინიკოვა უპარტ. მარტიროსიანი—ახ. კომ. კავშ.

კანდიდატები.

აზროიანი ახ. კომ. კავშ. ბირპეტიანი, აკოპიანი—უპარტ.

მუშ. და გლ. მილიციის მე-6-ე კომისარიატი და მეეზოვეები.

გულულოვი ბამი—კომუნ.

კანდიდატი

[illegible]—კომ.

სახალხო კვების კავშირის მუშა-მოსამსახურეები.

ზინინა ზოია—ახ. კომ. კავშ., იუზბაშევი აშოტი—კომუნ.

კანდიდატი:

ტოხმას შაგინ[illegible]—უპარტ.

26 კომუნარების სახელობის საფეიქრო ფაბრიკა, პროფინტერნის სახელობის, ზეთის და საპნის დასამზადებელი ქარხნები კ. მარქსის სახელობის, ისმაილოვის, ცეკავშირი კრწანისის და ორთაჭალის რაიონის მებაღეები.

ავეტისოვი ხოსრო, ბოლქვაძე ივანე, ივანოვი თადეოსი, ხუჩუა ლუკა, არაქელოვი [illegible], ალავერდოვი გუსეინი, მატიხიანი—კომუნისტები.

კანდიდატები,

მამხაზია [illegible]—ახ. კომ. კავშ. სარიჩევი კარაპეტოვა—უპარტიონი

თამბაქოს ფაბრიკა „26“ სახელობის, „კავკაზი“ და 7 რაიონის სახალხო კვების კავშირის მუშაკები.

1 საპატიო წევრათ არჩეულია კლარა ცეტკინი.

სარუხანოვი არმენაკ—კომ. ბელემიტინა ნინა—უპარტ.

კანდიდატები.

აკოპოვი ნიკო—უპარტ.

ხიმაჩურიძის სახელობის ზეთის და საპნის დასამზადებელი ქარხანა (ყოფ. შირომას) ელექტრ. წისქვილი ბაბაჯანოვის.

კოსტინი ვლადიმირი—კომ.

კანდიდატები.

ნავასარდოვი—უპარტი.

მე 4 რაიონი.

54 დივიზიის 1 ბატალიონი და ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის სამოსწავლო სკოლა.

პანკრატოვი, შიშკინი—კომუნისტ., ივატკოვსკი—უპარტ. კანდ., აბაკოვი. ბაევი, გინსბურგი, სახარულიძე, სოლოვიოვი, ტარასოვი—კომუნისტები, კლიმკოვი—უპარტიო, ორლიცკი—კომუნისტ., ორლოვი—უპარტ., კოლოკოლოვი, მკრტიჩევი—კომუნ.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის პოლკი.

საპატიო დეპუტატათ არჩეულია ძერჟინსკი.

მოგილევსკი, მიაკროვი სიროტკინი, იზმაილოვი (კომუნისტ.). კოჩმირჟევსკაია—(უპარტ.). ძლინტი, ხორევი, კანტარინოვი, გრინბერგი, ალდსამუროვი—(კომუნისტები). კრილოვი. კაზაჩკოვა—(უპარტიო).

საალმშენ. სექცია, მეეზოვეები, კომუნალურ მეურნ. მუშები

ცარმოლოვი ვარო, ავახასიევი, სიმონი, ზურიომოსი სემიონი, კიკნაძე მიმოდერი, მინასიანი ვარდანუში, გავრილენკო ბარბალე, კიბლერ ალბერ—კომუნისტები.

კანდ. ბაღდასაროვი ამაიაკი, გურიშვილი გიორგი ისაკიანც არმინაკ

ფურნეების მუშა-მოსამსახურეები

არჩვაძე ევგენი—კომუნ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

ტფილისის ქალაქის საბჭოს საარჩევნო ცენტრალური კომისია აცხადებს, რომ ორშაბათს 15 იანვარს დღის 12 საათზე დამოუკიდებელი შრომის მუშაკთა კავშირის შენობაში შესდგება ყველა შინა მრეწველ ერთეულების საერთო კრება ქალაქ ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

ცენტრ. საარჩევნო კომისია.

ტფილისის ქალაქის საბჭოს სექციების მუშაობა

სექციების შესახებ არსებულ დებულების თანახმად და პლენუმის დადგენილებით ქალაქის საბჭოს წევრები ვალდებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ სექციის მუშაობაში.

სექციის მოწყობა დაკისრებული ჰქონდა ალმასკომის მდივანს. 22 წლის სექტემბერში დაიწყო საბჭოს წევრთა ჩაწერა სექციაში, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩაწერა ნელის ტემპით სწარმოებდა. საერთოდ ჩაწერა:

კომუნალ. მეურ. სექციაში	122 კაცი
ქალ. ჯამრთ. განყ. „	39 „
სახალხო განათლ. „	12 „
ქალ. მუშ. და გლ. ინსპ. „	24 „
შინაგანი მმართვ. „	28 „
საფინანსო განყ. „	18 „

ამგვარად სექციაში სულ ჩაწერა დაახლოებით საბჭოს ყველა წევრთა 50 პროც. ზემონახსენებ სექციებს შორის მუშაობა ფაქტიურად დაიწყო მხოლოდ ორში: კომუნალურ და სახალხო განათლების სექციაში, დანარჩენ სექციებში კი მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში სისტემატიურად იყო გამოცხადებული სხდომების დღე და საათები, ქვორუმის უქონლობის გამო სხდომები არ სდგებოდა.

კომუნალურმა სექციამ მუშაობა დაიწყო 1922 წლის 9 ოქტომბერს და სულ ჰქონდა 6 სხდომა, რომლებზედაც განხილულ იქნა საკითხები ქალაქის განათების, წყლის მომარაგების, ტრამვაის, აბანოების, მუშათა ბინების მოწყობის და სხვ. შესახებ.

სახალხო განათლების სექციას ჰქონდა მხოლოდ ერთი სხდომა, რომელზედაც გადაწყდა მუშაობის სისტემატიურად წარმოება, მაგრამ ამას შემდეგ სხდომა არ გამართულა.

ეჭვს გარეშეა, რომ სექციის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საბჭოს თვითეული წევრისათვის, ისე ქალაქის პროლეტარიატისათვის, მაგრამ ის სუსტად იყო დაყენებული. მომავალი საბჭოს ალმასკომს უსურვებთ განაგრძოს დაწყებული საორგანიზაციო მუშაობა და იმედი გვაქვს, რომ მესამე საბჭოს წევრები უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდებიან სექციებში მუშაობის საქმეს.

აღბულაღის თემის ალმასკომის მუშაობა

მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 13620 სულს. სხვადასხვა ეროვნებათა შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია, არავითარ კონფლიქტებს ადგილი არ ჰქონია.

მიწის სიმცირე ძალიან მტკივნეული საკითხია მთელ რაიონში. ამ მხრივ უკეთესად არის უზრუნველყოფილი რაიონის ქვემო ნაწილი, სადაც ტყეები ნაკლებადაა. ზემო ნაწილი კი, სადაც ტყეები ბლომადაა, მიწის სიმცირე ძალიან საგრძნობია, რაც გავლენას ახდენს სასოფლო-მეურნეობაზე.

ძირითადი რეფორმა წმინდა ტექნიკური პირობების მიხედვით, ჯერ მთლიანად გატარებული არ არის. ზოგიერთ სოფლებში [illegible] რეფორმის გატარება. 10 სოფელში [illegible] განაწილებულია დაახლოვებით 5.500 დესიატინა სახნავი მიწა. გაზაფხულზე მიწათმოწყობის კომისიის მუშაობა განახლდება და მაშინ რეფორმა მთლიანად იქნება გატარებული.

თემის ზემო ნაწილის ტყეებში მზადდება ნახშირი, რომელიც წარსულ წელს 1.000.000 ფუთამდე იყო გატანილი. ვენახეულის და ბოსტნეულის კულტურა ნახევრად ველურ მდგომარეობაში იმყოფება. მიწის პრიმიტიული დამუშავება, მოუსავლობა და სხვა თავისებური გავლენას ახდენს ადგილობრივ გლეხების მუშაობის ხასიათზე.

დიდი ნაკლულოვანებაა სასოფლო-მეურნეობის იარაღებში; მეტად მტკივნეული საკითხია გზები. მთავარმა გზამ რკინიგზამდე 13 ვერსის მანძილზე, უკანასკნელ 8 წლის განმავლობაში, ძალიან დაზიანდა.

ალმასკომმა განახლა აგრონომიულ პუნქტის მუშაობა, გაყვანილია წყალსადენი, დაარსდა სახალხო კლუბი და ჩატარდა 3 ყრილობა. ბანდიტიზმთან ბრძოლა წარმატებით სწარმოებს, აგიტაციის საშუალებით მოხერხდა ამ მუშაობაში თვით გლეხების ჩაბმა.

ბოლო-დეპეშები

რუსეთის კომუნისტურ პარტიის ყრილობა

მოსკოვი. 13 იანვ. რუს. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რ. კ. პ. მორიგი ყრილობა დანიშნულია 30 მარტისთვის. ყრილობის დღის წესრიგი: ც. კ. პოლიტიკური ანგარიში, ც. კ. საორგანიზაციო ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება. კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტში რუსეთის წარმომადგენლობის ანგარიში. სახელმწიფო მრეწველობის ორგანიზაცია, პარტიული და სახელმწიფო აღმშენებლობაში ნაციონალური და პარტიული მომენტი, საგადასახადო პოლიტიკა სოფლად, პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმის შესახებ იქნება დამატებითი ცნობა.

ბრძოლა ფაშიზმთან

მოსკოვი, 13 იანვ. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ ყველა პროფინტერნის მომხრე ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით ენერგიულად იბრძოლონ ფაშიზმს და მოაწყონ მუდმივი ორგანიზაცია თანხმობის შეთანხმებულად ფაშიზმთან ბრძოლის მიზნით კომინტერნის და პროფინტერნის მიერ დაარსებულ საერთაშორისო ფონდის გაძლიერებულად.

სამოქალაქო ომის მსხვერპლები

მოსკოვი, 13 იანვ. რესპუბლიკის პოლიტიკურმა მართველობამ სასწრაფოდ შეუდგა მასალების შეგროვებას სამოქალაქო ომში დაღუპულ მებრძოლთა შესახებ და სთხოვს ყველა პოლიტიკურ ორგანოებს და სამოქალაქო ომის ცალკე მონაწილეთ გამოგზავნონ ცნობები და მასალები დაღუპულ წითელ არმიელების, კომანდირების, კომისრების და პოლიტიკურ მუშაკების შესახებ, მათი დაბადების და დაღუპვის პირობების აღწერით.

რურის ოლქის ოკუპაცია

ქალაქების დაკავება.

მოსკოვი. 13 იანვარი. ესსენის გარდა რურის ოლქში ფრანგებმა დაიკავეს კიდევ 4 ქალაქი.

ესსენში.

მოსკოვი, 13 იანვ. ჰავასის სააგენტოს ცნობით გერმანიის პოლიცია ხელს უწყობს საოკუპაციო მთავრობას წესრიგის დაცვაში. დღეს საღამოს საფრანგეთის კომისიამ მიიწვია ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები სათათბიროთ. ნახშირის სინდიკატის მიხედვით ბინზოლის და აზონიუმის მწარმოებელმა კომპანიამაც დასტოვა ესსენი.

ოკუპანტებმა დაიკავეს გელზენკირხენი.

პარიზი, 13 იანვ. დღეს დილით საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს გელზენკირხენი.

გერმანიის მრეწველების უარყოფა.

პარიზი, 13 იანვარი. უკანასკნელ ცნობების მიხედვით გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლები დაკავებულ ოლქებში თავს იკავებენ საფრანგეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისაგან, კერძოთ სამრეწველო კომპენსაციის საკითხში. საფრანგეთ გერმანიის მოლაპარაკება იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რომელიც ეხება ელზას-ლოტარინგიისა და გერმანიის შორის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლას, უნდა დაწყებულიყო უახლოეს დროში ბადენ-ბადენში, მაგრამ გერმანელები გაურბიან ამ მოლაპარაკებას. თუ გერმანიის ხელმძღვანელი წრეები განაგრძობენ ამავე პოზიციაზე დგომას, მოკავშირეები მიმართავენ რეპრესიულ ზომებს, საოკუპაციო რაიონის გაფართოების სახით.

დიუსელდორფში.

ნაუენი. 13 იანვარი. საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების მთავარ-სარდალმა გენერალ დეგუტმა, რომელიც დიუსელდორფში იმყოფება, მიიღო ბრძანება მთელი რურის ველის დაკავების შესახებ. უკანასკნელ ცნობების თანახმად, დაკავებული იქნებიან აგრეთვე ბოხუმი, გელზენკირხენი და დორტმუნდი. გერმანიის სამოქალაქო ადმინისტრაციამ მიიღო წინადადება დარჩეს თავის ადგილზე, მაგრამ დაემორჩილოს საოკუპაციო მთავრობის ბრძანებას.

საფრანგეთის ფლოტილიის ჩასვლა.

ჰანოვერი. 13 იანვარი. საფრანგეთის რეინის ფლოტილია, რომელიც აქამდის ჰამბურგის ნავთსადგურში იმყოფებოდა, შევიდა რურორტის ნავთსადგურში.

ლოზანის კონფერენცია

სპარსეთის მთავრობის პროტესტი.

ბერლინი, 13 იანვ. სპარსეთის წარმომადგენელმა შვეიცარიაში ლოზანის კონფერენციის თავმჯდომარეს განუცხადა თავისი პროტესტი კონფერენციაზე სპარსეთის არ დაშვების გამო.

ახლო აღმოსავლეთში

მადლობა საბჭოთა მთავრობას.

ანგორა 12 იანვ. 8 იანვარს გაზეთმა „ენი ადაკ“-მა გამოაქვეყნა სირიის მუსულმან დელეგატების დეპეშა, რომელიც სირიის 500,000 მუსულმანის სახელით ესალმება საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა რესპუბლიკების ხალხს.

თრაკიაში.

მოსკოვი. 13 იანვარი. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ მდგომარეობა თრაკიაში ძალიან გამწვავებულია. მცირე აზიიდან მოდიან ოსმალთა ჯარების ახალი ნაწილები. ახლო მომავალში შესაძლებელია მოხდეს შეტაკება.

საბერძნეთის ჯარების კონცენტრაცია.

რომი, 13 იანვ. თრაკიაში თავს იყრის საბერძნეთის ჯარები 80,0 კაცის შემადგენლობით. მარიცის [illegible]ველი ნაპირი გამაგრებულია 15 კილომეტრის მანძილზე.

ხალიფის უფლებები.

მოსკოვი. 13 იანვარი. სტამბოლის ცნობით, ანგორის მთავრობა იმუშავებს კანონპროექტს, რომელიც განსაზღვრავს ხალიფის უფლებებს და მოუსპობს მას საშუალებას ჩაერიოს სახელმწიფოს პოლიტიკაში.

გერმანიის ამბები

კომუნისტები და რურის ოლქის ოკუპაცია.

მოსკოვი. 13 იანვ. გერმანიის კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს თავის მოწოდებაში პროლეტარიატის გაერთიანებულ ფრონტის შექმნას, კუნოს მთავრობის გადადგომას, რეიხსტაგის გაშვებას და მუშათა მთავრობის შედგენას; კომპარტია მოითხოვს საერთო გაფიცვების გამოცხადებას იმ მიზნით, რომ საფრანგეთი იძულებული შეიქნეს შესწყვიტოს რურის ოლქის ოკუპაცია.

ზემო სილეზიაში.

მოსკოვი. 13 იანვარი. რადგან ზემო სილეზიაში ძლიერდება ფაშისტური აგიტაცია, რომელიც ხასიათდება ტერორისტული აქტებით, ზემო სილეზიის ფაბრიკა-ქარხნების კონგრესმა მოითხოვა გერმანიის კომისიის დანიშვნა, რომელმაც ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებთან და პროფკავშირებთან ერთად თვალყური უნდა ადევნოს მუშების და რესპუბლიკის დაცვის კანონის ცხოვრებაში გატარებას. იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება უარს იტყვის ამაზე, კონგრესმა დაადგინა მოაწყოს პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაცია.

მემელი.

მოსკოვი. 13 იანვარი. ლიტვის მოხალისეთა რაზმებმა დაიკავეს მემელის ოლქი. ისინი მემელიდან შვიდი კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან. მოკავშირეებმა გაგზავნეს მემელში სამხედრო გემები იქ მყოფ გარნიზონის გასაძლიერებლად. მთელ ოლქში გამოცხადებულია საალყო წესები.

გერმანია და მოკავშირენი.

მოსკოვი. 13 იანვარი. გერმანიის მთავრობამ გაიწვია პარიზიდან და ბრიუსელიდან თავისი ელჩები, რაც არ ნიშნავს დიპლომატიურ ურთიერთობათა შეწყვეტას, ვინაიდან [illegible] რჩებიან გერმანიის რწმუნებულები.

გლოვის დღეები გერმანიაში.

მოსკოვი. 13 იანვ. რურის ოლქის ოკუპაციის გამო გერმანიის მთავრობა მოუწოდებს მცხოვრებლებს 14 იანვარს მოაწყონ მასიური მანიფესტაციები და ეს დღე გამოაცხადონ ტრაურის დღედ.

უარი ნახშირის მიწოდებაზე.

მოსკოვი. 13 იანვარი. გერმანიის მთავრობამ ოფიციალური განცხადება გააკეთა ნახშირის მიწოდების შეწყვეტის შესახებ რურის ოლქის საფრანგეთის ჯარებისაგან გაწმენდამდე.

— ვაშინგტონის ცნობით, სენატორმა რიდმა მოითხოვა სარეპარაციო კომისიიდან ამერიკის მეთვალყურე ბოილდენის გაწვევა.

ანტანტა და გერმანია

ამერიკის ჯარების ევაკუაცია.

ჰანოვერი. 13 იანვარი. „ჰატ ჰარიზენ“-ის ცნობით, ამერიკის სამხედრო მინისტრმა დეპეშით აცნობა გენერალ ალენს, რომ ამერიკის ჯარები 18 იანვარს სტოვებენ გერმანიას.

ინგლისი და სარეპარაციო კომისია

მოსკოვი. 13 იანვარი. ინგლისის კაბინეტმა ინგლისის და საფრანგეთის მთავრობათა შორის განხეთქილების თავიდან ასაცილებლად გადასწყვიტა სარეპარაციო კომისიიდან და ელჩთა საბჭოდან არ გაიწვიოს თავისი წარმომადგენლები, და აგრეთვე დატოვოს თავის ჯარები რეინის ოლქში.

ფრანგები რურში

მოსკოვი. 13 იანვარი. საფრანგეთის მფრინავები რურის ოლქში ავრცელებენ პროკლამაციებს, სადაც საფრანგეთის მთავრობა ემუქრება სიკვდილით დასჯას ყველა იმათ, რომელნიც შენიშნული იქნებიან საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედებაში.

სხვადასხვა ამბები

პროლეტარული სოლიდარობა.

რომი. 13 იანვარი. საფრანგეთის კომუნისტმა კაშენმა განაცხადა საფრანგეთის და გერმანიის მუშების სოლიდარობის შესახებ საფრანგეთის მთავრობის საოკუპაციო პოლიტიკის საკითხში.

უმუშევრობა ინგლისში

მოსკოვი. 13 იანვარი. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ინგლისში უმუშევართა რაოდენობა გა[illegible] 127000 კაცით. სულ უმუშევართა რიცხვი უდრის 1.386.000 კაცს. უმუშევართა მდგომარეობა ძალიან მძიმეა. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც უმუშევარნი განზრახ სჩადიან დანაშაულობას იმ მიზნით, რომ მოხვდნენ ციხეში და მიიღონ უფასო სასმელ-საჭმელი.

ფასების მოძრაობა საქართველოში

ერთ-ერთ თავსამტვრევ და საჭირბოროტო საკითხად უნდა ჩაითვალოს დღეს და ითვლება სამართლიანადაც დღევანდელი საქონლის ფასები. სიძვირე, იგი [illegible] მასის საგანი დიდის თუ პატარასი, ახალგაზრდასი თუ მოხუცის, და მართლაც, განა დღევანდელს ცხოვრებაში არის კიდევ ისეთი მოვლენა, რომელიც ასე [illegible] აწუხებს მოქალაქის საქმიანობას და არსებობას?

საგაზეთო წერილში რასაკვირველია, ძნელია გამორკვეულ და ამოწურულ იქნას რთული კომპლექსი იმ ეკონომიურ-პოლიტიკური მიზეზებისა, რომელიც მას იწვევს, მას აღრმავებს თუ ანელებს, მაგრამ მისი მდგომარეობის და განვითარების ანალიზის ცდა საჭიროა.

წარსულ ნოემბერში, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით, თბილისის საქონლის ფასების საერთო index numbers-ი შედარებით მიმდინარე წლის იანვართან, რომელიც ჩვენ მიერ მიღებულია ასათ, უდრიდა 113, ხოლო ბათუმისათვის 115 ე. ი. საქონლის ფასებმა თბილისში 13 პროც. იმატეს, ხოლო ბათუმში—15 პროც.; თუ ამავე ნოემბრის საერთო index numbers-ი დავუპირდაპირეთ მშვიდობიანი დროის—1913 წლის ფასებს, რომელიც მიღებულია ჩვენ მიერ ერთათ, დავინახავთ, რომ ამ დროსთან შედარებით საქონლის inders numbers-ი თბილისში გაზრდილა 208,286 ჯერ, ხოლო ბათუმში—238,188-ჯერ, საშუალოდ კი ორივე ქალაქისათვის—223,237-ჯერ. ამნაირათ, ჩვენი საქონლის ფასების გადიდება, შედარებით მიმდინარე წლის იანვართან, ნოემბერში უდრიდა 15 პროც. ხოლო შედარებით მშვიდობიან დროსთან ეს გადიდება მოხდა 223,237 ჯერ მეტად.

აქა ვნახოთ საქონლის ფასების საერთო ინდექსის თვიური მერყეობა მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს ორ უმთავრეს ქალაქისათვის.

	თბილისი.	ბათომი.
იანვარი	100	100
თებერვალი	149	173
მარტი	163	153
აპრილი	[illegible]	156
მაისი	128	136
ივნისი	120	127
ივლისი	97	118
აგვისტო	96	105
სექტემბერი	104	126
ოქტომბერი	113	105
ნოემბერი	113	115

როგორც მოყვანილ დაპირდაპირებიდან ვხედავთ, ფასების მერყეობას ორივე ქალაქისათვის ერთნაირი მიმართულება ემჩნევა; იანვართან შედარებით თბილისში ფასები თავის მაქსიმუმს აღწევს მარტში, როდესაც იგი 63 პროც. მატულობს, ხოლო ამის შემდეგ იგი თანდათან ეცემა და ივლისში ახალი მოსავლის ზეგავლენით უკვე იანვარზე ქვევითა სდგას 3 პროც., აგვისტოში კიდევ დაბლა ეშვება 4 პროც. და აქედან კი უკვე მაღლა მსვლელობას იწყებს; იანვართან შედარებით ფასები სექტემბერში 4 პროც. გადიდებულა, ხოლო ოქტომბერ ნოემბერში 13 პროც., რაც შეეხება ბათუმის ფასების მერყეობას, აქაც თითქმის იგივე მსვლელობაა, რაც თბილისისათვის იყო აღნიშნული; მაქსიმუმი აქ მოდის თებერვალზე, ფასები აწეულია 73 პროც. იანვართან შედარებით, ხოლო ამ ხნიდან თითქმის გამუდმებული ეცემა; უთანასწორდება რა აგვისტოში, თბილისის მინიმალურ ფასებს, სექტემბერში უკვე ნახტომს აკეთებს და 26 პროც. მაღლა სდგას იმავე იანვართან შედარებით. შემდეგი თვეების ფასები ბათუმში ასევე მერყევია და ამის მიხედვით არავითარი გარკვეული მიმართება არ ემჩნევა. როგორც აქედან ვხედავთ ბათუმის ფასები ყოველთვის მაღალია თბილისის ფასებთან შედარებით, გარდა მარტისა და ოქტომბრისა.

საერთოდ ფასების აღნიშნულ მიმდინარეობას ახასიათებს შემდეგი გარემოებანი, რომელნიც სათანადო გამოძახილს ჰპოვებენ მათ განვითარებაში: პირველი—წინდაწინვე წლის პირველ თვეებში არსებული ანარქია ფულის ნიშნების ტრიალში, რომელიც იწვევს საქართველოს ფულის ნიშნების დაცემასთან ერთად საქონლის ფასების გადიდებას, შედარებით იანვართან, მარტში თბილისისათვის 63 პროც., ხოლო თებერვალში ბათუმისათვის—73 პროც. ამ თვეების შემდეგ აღნიშნული ფასების დაცემა კი უმთავრესად საქართველოში ფულის ტრიალის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებით უნდა აიხსნას; მეორე—ივნისიდან დაწყებული ახალი მოსავლის რეალიზაციის დაწყება და მისი ზეგავლენით ფასების დაცემა ივნის, ივლის აგვისტოში შედარებით იანვართან; ხოლო მესამეა—ახალი საბაჟო პოლიტიკა, რომლის მიზანია შინაური მრეწველობის მფარველობა, მაგრამ, რომელიც, მეორე მხრივ, გავლენას ახდენს ფასების ზრდაზე.

დაუპირდაპიროთ ახლა მიმდინარე წლის საქონლის ფასებს index numbers-ი მშვიდობიანი დროის—1913 წლის ფასებს და ვნახოთ თუ რა განსხვავებაა ამ ორი ხნის ფასებს შორის. 1913 წ. ფასები მიღებულია ერთად.

თვეები.	თბილისი	ბათომი	ქუთაისი	საშუალოდ სამ ქალაქში
იანვარი	195,172	259,913	139,789	198,291
თებერვალი	287,120	405,701	294,621	329,147
ივლისი	182,774	27[illegible],859	209,204	221,612
ოქტომბერი	213,516	233,980	202,542	216,679

ცხრილში აღებულია წლის ოთხი სეზონის შუა თვეები საქართველოს სამი მთავარი ქალაქისათვის, რომელთა საშუალო მიმართებაც აგვჩვენებს ფასების გადიდებას 1913 წელთან შედარებით იანვარში—198,291 ჯერ, აპრილში—329,147 ჯერ, ივლისში—221,612 ჯერ და ოქტომბერშიც—216,679 ჯერ. ამნაირად, აპრილიდან იწყება სამი ქალაქის საშუალო ფასების შემცირება, მაგრამ შედარებით იანვართან, ოქტომბერში ფასების განსხვავება მაინც მნიშვნელოვნად მაღლა სდგას. აპრილის შემდეგ მუდმივი შემცირება ახასიათებს ბათუმს და ქუთაისს, ხოლო თბილისში ოქტომბერში კვლავ ფასების გადიდებას ვამჩნევთ.

ჩვენ განვიხილეთ საქართველოს უმთავრეს ქალაქების index numbers-ი, ვნახოთ ეხლა რა დამოკიდებულება არსებობს საქართველოს ზოგიერთი მაზრის ფასების index*)-თან, მიმართებით 1922 წლის იანვართან, რომელსაც 100 ვიღებთ.

მაზრები / თვეები	ახალქალაქის	ახალციხის	გორის	ბორჩალოს	თბილისის	თელავის	ოზურგეთის	ლეჩხუმის
იანვარი	100	100	100	100	100	100	100	100
თებერვალი	163	129	158	178	146	156	162	155
მარტი	141	123	147	152	165	130	141	177
აპრილი	158	130	143	152	141	131	24	—
მაისი	[illegible]	131	145	148	—	111	125	194
ივნისი	157	131	124	—	—	92	140	170
ივლისი	110	95	118	107	75	84	133	170
აგვისტო	111	61	89	112	—	74	118	170
სექტემბერი	123	—	98	118	113	87	108	126
ოქტომბერი	111	—	101	121	112	91	110	169
ნოემბერი	120	—	—	115	101	88	115	170

მოყვანილ მაზრების index-ების დამახასიათებელ თვისებად იგივე ის სამი გარემოება შეადგენს, რომელიც თბილის-ბათუმისათვის იყო მოყვანილი ზევით; თებერვალ-მარტის თვეების მაღალი ფასები საერთოდ, შემდეგ თვეების განმავლობაში ფასების დაცემა მინიმუმით ივლის აგვისტოში და მას შემდეგ—კი კვლავ ფასების ზრდა, უმთავრესად უკვე აღნიშნული მიზეზების ზეგავლენით.

საერთოდ ინდექსი ეყრდნობა—37 საქონლის ფასს და შეიცავს ქვევით მოყვანილ საქონლის ცხრა მთავარ ჯგუფს.

index-ები ქ. თბილისში 1922 წელში, შედარებით ამავე წლის იანვართან, რომელიც მიღებულია ასათ.

№№ რიგ.	საქონლის ჯგუფები.	თებერ.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბ.	ოქტომ.	ნოემბერი
1	პურეულობა	134	145	[illegible]	130	111	72	6	62	57	48
2	ბოსტნეულობა	57	187	166	187	153	60	53	53	50	45
3	ხორცეული	179	239	[illegible]	177	165	155	154	161	161	164
4	ცხიმეული	167	212	212	139	126	[illegible]	[illegible]	11	138	136
5	რძეული და კვერცხი	137	148	139	87	79	77	81	9	96	99
6	საბაკალ. სას. საგ.	133	122	111	107	115	99	93	127	161	166
7	„ არა სას. საგ.	55	94	[illegible]	97	98	91	114	119	[illegible]	[illegible]
8	განათების საგ.	137	102	94	90	[illegible]	[illegible]	[illegible]	143	150	148
9	ტანსაცმ. და ფეხს.	135	[illegible]	122	120	121	113	124	5	183	193
	index numbers	149	163	153	128	120	97	96	104	113	113

მოყვანილ ცხრა ჯგუფის საგნებიდან ნოემბრისათვის, შედარებით იანვრის ფასებთან, რომელიც ჩვენ მიერ ასათ არის მიღებული, შემცირებას იძლევა საქონლის სამი ჯგუფი, ეს არის: პურეულობა—52 პროცენტი, ბოსტნეულობა—55 პროცენ. და რძეული და კვერცხი—1 პროც., ხოლო დანარჩენი საქონლის ექვსი ჯგუფის ფასები კი მატულობს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1 **პურეულობას** თავისი უმაღლესი წერტილისათვის მიუღწევია—ფულის ტრიალის ანარქიის პერიოდში—მარტში, ხოლო ამ თვის შემდეგ იგი გამუდმებული მცირდება; ივლისიდან ის უკვე დაბლა ჩამოდის იანვრის ფასთან შედარებით და ნოემბერში მხოლოდ მის 48 პროცენტს ღა შეადგენს, ანუ შემცირება ამ ჯგუფის ფასის უდრის 52 პროც. იანვართან შედარებით. უმთავრესად, ნოემბერში ასეთ შემამცირებელ გავლენას ახდენს ხორბლის ფქვილი—ღირს 275 6 ათასი მანეთი წინააღმდეგ იანვრის 675 ათ. მან., ფასი შემცირდა 59 პროცენტით; სიმინდის ფქვილი—ღირს 124,3 ათ. მან., წინააღმდეგ 273,3 მან. იანვარში, შემცირდა—55 პროცენტით; ქერი—131,2 ათ. მან., წინააღმდეგ 280 ათ. მან., შემცირდა 54 პროც. და ლობიო—153,1 ათ. მან. ფ., წინააღმდეგ 320 ათ. მან. იანვარში, შემცირდა 53 პროც.

2 **ბოსტნეულობა**, ერთის მხრივ როგორც სეზონური სანოვაგე და მეორე მხრივ ფულის კურსის ზეგავლენით მაღალ ფასებში იყიდება ზამთრის და გაზაფხულის თვეებში, ხოლო ივლისიდან იგი იანვრის ფასებზე ქვევით ეშვება და გამუდმებული შემცირების შემდეგ, ნოემბერში აღწევს თავის მინიმუმ ფასს—შემცირდა იანვართან შედარებით 55 პროც.

შემცირებაზე უმთავრეს გავლენას ახდენს ხახვი, რომელიც ნოემბერში ფასობდა 105,1 ათ. მან. ფუთი, წინააღმდეგ იანვრის—310 ათ. მან., რაც 66 პროცენტით შემცირებას შეადგენს.

3. **ხორცი** უმაღლეს ფასებში იყიდება მარტში და აპრილში 35 8 ათ. მან. და 35 3 ათ. მან. გირვანქა, წინააღმდეგ ნოემბრის 25 ათ. მანეთის. აქაც იგივე მიზეზია რაც ზევით აღვნიშნეთ. მისი მაქსიმალური ფასები მოდის ზამთარზე და გაზაფხულზე. ზაფხულში ბოსტნეულობის და სხვა სანოვაგის სიუხვის ზეგავლენით იგი იაფდება, ხოლო შემოდგომიდან უკვე გაძვირება ემჩნევა და ნოემბერში უკვე 64 პროც. არის გადიდებული, შედარებით იანვრის ფასებთან.

ფასების მატებაზე ნოემბერში უმთავრესად გავლენას ახდენს ქათამი—150 ათ. მან., ცალი, წინააღმდეგ იანვრის 60,6 ათ. მან. ღირებულის, რაც 147 პროც. გადიდებას იძლევა; მცირეა ცხვრის ხორცის ფასის მატება—სულ 2 პროცენ. შედარებით იანვართან.

4. **ცხიმის** მაქსიმალური ფასი მოდის მარტზე და აპრილზე, ხოლო მინიმალური სექტემბერზე, საერთოდ მას განსაკუთრებული მიმართულება არ ახასიათებს და გამუდმებულ მერყეობს.

ამ ჯგუფიდან გადიდების პროცენტს—68 პროც. იძლევა—ღორის ქონი, ნოემბერში გირვანქა ღირს 47,5 ათ. მან. წინააღმდეგ იანვრის—28,25 ათ. მან.; იზრდება აგრეთვე ძროხის ქონის ფასი 67 პროც.. ნოემბერში ღირს—38,5 ათ. მან., წინააღმდეგ იანვრის 23 ათ. მან. ღირებულების, იანვართან შედარებით ნოემბერში შემცირებას იძლევა კარაქი 5 პროც., წინააღმდეგ იანვრის 90 ათ. მან. ღირებულების, ნოემბერში იგი გირვანქა ღირს 83,75 ათ. მან.

5. **რძეულის და კვერცხის** ფასის მაქსიმუმი მოდის წლის პირველ თვეებზე; მარტიდან იწყებს მისი ფასი გამუდმებულ კლებას, მაისში 13 პრ. იაფდება შედარებით იანვართან და ივლისში აღწევს მინიმუმს—77 პროც. იანვრის საფასურის, რაც 23 პროც. გაიაფებას შეადგენს; აგვისტოდან უკვე გამუდმებული მატულობს და ნოემბერში უკვე იანვრის საფასურის 99 პროც. შეადგენს.

ნოემბერში ამ ჯგუფის ფასების გადიდებაზე მოქმედობს ერთის მხრივ ყველი, იანვარში შედარებით გადიდებულია 27 პროც., ფასობს 78 ათ. მ. წინააღმდეგ იანვრის—61,25 ათ. მან. და რძე—გაძვირებულა 14 პროც. ნოემბერში ფასობს—7,96 ათ. მან. წინააღმდეგ იანვრის 7 ათ. მან. საფასურის; იანვრის ფასებთან შედარებით, ამ ჯგუფიდან მნიშვნელოვნათ—31 პროც. დაბლა ფასობს ნოემბერში ყველი, 35 ათ. მან. გ. წინააღმდეგ იანვრის 50,5 ათ. მან. ღირებულების.

6. **საბაკალეო სასურსათო საგნების** ფასი თებერვლიდანვე ეცემა თანდათან და ივლის—აგვისტოში 1 პრ. და 7 პროც. არის შემცირებული იანვრის ფასებთან შედარებით, ამის შემდეგ კი იგი მატულობს და ოქტომბერ—ნოემბერში მაქსიმალურ სიმაღლეს—61 პროც. და 66 პროც. გაძვირებას ვხედავთ იანვართან შედარებით. ასე მაღალი ფასები მთელი წლის განმავლობაში საქონლის ამ ჯგუფზე არ ყოფილა.

გაძვირების უმთავრესი საგანია ჩაი, იანვართან შედარებით 134 პროც. გაძვირდა—ნოემბერში, გირვანქა ჩაი ფასობს 302, 1 ათ. მან. წინააღმდეგ იანვრის—128,75 მან. შაქარი გაძვირდა იანვართანავე შედარებით 52 პროც., ხოლო მარილი 44 პროც.; შაქარი ნოემბერში ფასობდა—ფუთი 1,621,6 ათ. მან. წინააღმდეგ 1,060 ათ. მან. და მარილიც 2,1 ათ. მან. წინააღმდეგ 1,45 ათ. მან.

7. **საბაკალეო არა სასურსათო საგნების** ფასი მთელი წლის განმავლობაში მერყეობს და მას ოდნავი გაიაფება ახასიათებს მარტში—6 პრ. მაისში 3 პროც., ივნისში—2 პროც. და ივლისშიც—9 პროც., ხოლო დანარჩენ თვეებში იანვართან შედარებით სულ ძვირათ ფასობს. მაქსიმუმი მოდის თებერვალზე 55 პროც. და ოქტომბერზე 26 პროც.

ამ ჯგუფიდან გაძვირება-გაიაფების საგანია საპონი, რომელიც ნოემბერში ფასობდა 32,6 ათ. მან. გირ. წინააღმდეგ 29 ათასი მანეთის იანვარში.

8. **განათების საგნების** ფასები თებერვლიდან კლებულობს, მინიმუმს აღწევს აპრილ-მაისში, როდესაც იგი იანვრის ფასებთან შედარებით 6 და 10 პროც. გაიაფდა და ამის შემდეგ სულ გამუდმებულ მატებაში არის იანვართან შედარებით გაძვირებულ სექტემბერში—43 პროც., ოქტომბერში—50 პროც. და ნოემბერშიც—[illegible] პროც.

ამ ჯგუფიდან ნავთი ძვირდება [illegible] პროც. იანვართან შედარებით. ნოემბერში გირვანქა ღირს 7,4 ათ მან. წინააღმდეგ იანვრის—4,37 ათ მან.; წუმწუმა ძვირდება—27 პროც. ღირს 29,75 ათ. მან. წინააღმდეგ 23,3 ათ. მან. ღირებული იანვარში.

ტანისამოსის და ფეხსაცმელის ფასები იანვრის ფასებზე ქვევით არ დაშვებულა [illegible] მაღლური გაძვირება იანვრის ფასებთან შედარებით მოდის ივლისში—13 პროც., ხოლო მაქსიმალური სექტემბერში—50 პროც., ოქტომბერში—83 პროც., და ნოემბერშიც—93 პროც.

გაძვირების მთავარი საგანია ნარმა—117 პროც. შედარებით იანვართან ნოემბერში ღირს—69,55 ათ. მან არშინი, წინააღმდეგ 32, ათ. მანეთის იანვარში.

აი ეთია მოკლე დახასიათება ქ. თბილისში საქონლის საბაზრო ფასების წარსული წლის პირველი თერთმეტი თვის განმავლობაში. გადავიდეთ ეხლა მეორე მნიშვნელოვან პუნქტის—ბათუმის საბაზრო ფასების შესწავლაზე და მის ანალიზზე.

ქ. ბათუმის 1922 წლის საქონლის ფასების index-ები, შედარებით ამავე წლის იანვართან, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ასათ.

№№ რიგზე	საქონლის ჯგუფები.	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
1	პურეულობა	154	128	107	100	104	105	93	85	64	6
2	ბოსტნეულობა	285	215	262	167	135	112	68	90	65	64
3	ხორცეული	206	215	222	205	178	168	138	139	144	135
4	ცხიმეული	231	213	239	195	196	190	158	215	131	125
5	რძეული და კვერცხი	208	177	164	144	113	102	108	121	104	104
6	საბაკალეო სასურ. საგ.	138	92	82	94	93	83	91	136	136	157
7	„ არა სასურ. საგ.	65	60	53	66	60	66	63	80	67	70
8	განათების საგნები	128	118	106	115	131	131	128	130	128	142
9	ტანსაცმელი და ფეხსაც.	100	106	97	95	77	74	73	96	106	111
	index numbers.	173	153	156	136	127	118	105	126	105	115

---

*) მაზრებში არ შედის ტანისამოსის და ფეხსაცმელის ფასების ინდექსები, ცნობათა უქონლობის გამო, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის მოყვანილ ცნობების ქალაქთა ინდექსების მიმართ დაპირდაპირებას.

სასურსათო გადასახადის კამპანია

შორაპნის მაზრამ 74,1 პროცენტი გადაიხადა.

როგორც სახალხო სასურსათო კომისარიატს დეპეშით ატყობინებენ, იანვრის 11 სთვის შორაპნის მაზრაში უკვე შეგროვილი იყო და საწყობებში იყო მიტანილი 29,990 ფუთი სიმინდის ერთეული, ანუ 74,1 პროცენტი ამ მაზრაზე შეწერილი გადასახადისა.

სულ რამდენია აკრებილი დასავლეთ საქართველოში?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით დასავლეთ საქართველოს შვიდ მაზრაში იანვრის 13-სთვის შეგროვილია 1922 წლის სასურსათო გადასახადის ანგარიშში 56.876 ფუთი სიმინდის ერთეული, ანუ 19,3 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

რომელ მაზრაში რამდენია აკრებილი?

მ ა ზ რ ე ბ ი	რამდენი ფუთი სიმინდის ერთეული აქვს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრებილი?	რამდენი პროცენტია აკრებილი?
1. შორაპნისა	40,500	29,990	74,1
2. რაჭისა	15,000	9,750	65,0
3. ზუგდიდისა	60,000	10,035	16,7
4. ოზურგეთისა	37,500	4,630	12,4
5. სენაკისა	67,500	1,212	1,8
6. ქუთაისისა	67,500	1,145	1,7
7. ლეჩხუმისა	7,500	114	1,5
	295,500	56,876	19,3

კამპანიის მსვლელობა.

მთელს დასავლეთ საქართველოში სასურსათო გადასახადის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. მარცვლეულის შეგროვება ყველგან დაწყებულია. არის სრული საბუთი ვიფიქროთ, რომ კამპანია სულ მოკლე ხანში დასრულდება.

ქუთაისის მაზრა. გადასახადის შეგროვება, როგორც სამაზრო სასურსათო კომისარი იტყობინება, ყველა თემში დაწყებულია.

შორაპნის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით საწყობებში უკვე მიღებულია: 23.000 ფუთი სიმინდი და 280 ფუთი ლობიო.

ოზურგეთის მაზრა. უკანასკნელ ცნობებით, რაიონებში უკვე 50 პროცენტია შეგროვილი.

მეფე კონსტანტინეს გარდაცვალება

მოსკოვი. 13 იანვარი. რომიდან იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საბერძნეთის ყოფილი მეფე კონსტანტინე.

ვერსალის ხელშეკრულება.

მოსკოვი. 13 იანვ. „ტაიმსის" კორესპონდენტი იუწყება ვაშინგტონიდან, რომ ამერიკის მთავრობას არ მიაჩნია მიზანშეწონილად ვერსალის ხელშეკრულება და აუცილებლად სთვლის მის შეცვლას ევროპის ნამდვილად აღდგენის მიზნით.

კომუნისტების დატუსაღება.

მოსკოვი. 13 იანვარი. საფრანგეთის მთავრობამ დაატუსაღა კიდევ სამი კომუნისტი, მათ შორის რკინისგზელთა სინდიკატის მდივანი სემარი.

ფრანკის კურსის დაცემა.

მოსკოვი. 13 იანვ. საფრანგეთის მთავრობის წრეებში ფრანკის კურსის დაცემის გამო დიდი აურზაურია, ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მთავრობამ შეიმუშავა ახალი გადასახადების პროექტი.

ინტერნაციონალების მოწოდების გამო.

მოსკოვი 13 იანვარი. 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების აღმასკომები მოწოდებაში გაერთიანების გამო, სხვათა შორის, აცხადებენ, რომ მსოფლიო მუშათა კონგრესის მოწვევა კომუნისტებთან ერთად შეუძლებელია, სანამ კომუნისტები არ შეცვლიან თავიანთ ტაქტიკას.

პანიკა უნგრეთში.

მოსკოვი, 13 იანვარი. ბუდაპეშტის ბირჟაზე სუფევს პანიკა. უნგრეთის კრონის კურსი ძლიერ ეცემა იმის გამო, რომ გავრცელდა ხმები რომ მთავრობას განზრახული აქვს გამოაცხადოს მობილიზაცია. მობილიზაციის გამოცხადებას უკავშირებენ მცირე ანტანტის პროტესტს უნგრეთის შრომის ბეგარის კანონის წინააღმდეგ. რომელიც ანხორციელებს ფარულად საყოველთაო სამხედრო ბეგარას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მადლობა ჰერიოს

მოსკოვი. 13 იანვარი. ნიჟეგოროდის და ირბიტის ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარემ მალიშევმა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის სახელით ქ. ლიონის მოურავს ჰერიოს გადასცა მადლობა მისი მოღვაწეობის გამო რუსეთ-საფრანგეთის შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის საქმეში.

მოსკოვ-რიგა

მოსკოვი. 13 იანვ. რიგაში დამთავრდა რუსეთ-ლატვიის სარკინიგზო ყრილობა. მიღებულია დადგენილება მოსკოვ-რიგის შორის პირდაპირ ყოველდღიურ მიმოსვლის დაწესების შესახებ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის კოოპერატივთა კავშირი.

თებერვლის პირველ რიცხვებში გაიმართება აზერბეიჯანის კავშირის საბჭოს რწმუნებულთა პლენუმის სხდომა.

აზერბეიჯანის კავშირმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე კოოპერაციისათვის მთელ ჩამორთმეულ ქონების უკანვე დაბრუნების შესახებ.

წყალქვეშა ვულკანები.

აზნავთის გეოლოგი ზუბერი რამდენიმეჯერ აფრინდა ჰიდროპლანით მალორბიდან კასპიის ზღვის ძირის შესასწავლად იმ რაიონებში, სადაც მდებარეობს წყალქვეშა ტალახის ვულკანები ბიბი-ეიბათის ბუხტაში. აღმოჩენილია ორი ახალი ვულკანი კუნძულ ბულლის მახლობლად.

პარტიული ცხოვრება—

პარტიის ისტორიის კომისია

კვირას, 14 იანვარს, დილის 11 საათზე ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის ბინაზე (ყოფილი სასახლე) შესდგება

პარტიის ისტორიის კომისიის პირველი

სხდომა.

სხდომაზე გასარჩევი არის „პარტიის ისტორიის" გამოცემასთან დაკავშირებული კითხვები, რომელთაც გადაჭრა დაყოვნებას არ ითმენს, ამიტომ ს. კ. პ. ცეკას მიერ დანიშნულ ხსენებულ კომისიის ყველა წევრებს ევალებათ აღნიშნულ დღეს დაესწრონ სხდომას.

კომისიის მდივანი ხ. თალაკვაძე.

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება

12 იანვარს საქ. კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის საერთო საქალაქო კრებაზე სრულიად რუსეთის საბჭოთა მე 10 ე და საკავშირო ყრილობების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ორჯონიკიძე თავისი მკაფიო და ნათელ სიტყვის დასაწყისში მან აღნიშნა ყრილობის არა ჩვეულებრივი პირობები: ყრილობა პირველად მიმდინარეობდა მშვიდობიანობის პირობებში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ წარსულ საბჭოთა ყრილობის დროს გაისმოდა იაპონიის მუქარა.

შემდეგ ამხ. ორჯონიკიძემ აღნიშნა, საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მოქალაქეთა ის გასაოცარი კავშირი და თანხმობა, რომელიც არსებობდა ყრილობის მუშაობის განმავლობაში რაიც სტიქიურად სამჯერ გამოაშკარავდა „ინტერნაციონალის" შესრულებაში.

პირველად ყრილობის დასაწყისში, როდესაც ყრილობა ერთსულოვნად და მხურვალედ სალამს უძღვნის რევოლუციის უდიდეს ბელადს ლენინს, რომელიც „ყრილობას არ ესწრება, მეორეჯერ, ამხ. სტალინის საბოლოო სიტყვის დროს საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო კავშირის შესახებ, და ბოლოს, ამხ. ტროცკის მიერ ყრილობის კომფრაქციის წინაშე კომინტერნის მე 4 კონგრესის შესახებ გაკეთებულ მოხსენების დროს.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ყრილობის საქმიან მხარეზე და შეჩერდა ამხ. კამენევის მიერ წარმოდგენილ სახალხო კომისართა საბჭოს და სრ. რუს. აღმ. კომიტეტის წლიურ მუშაობის ანგარიშზე, რომელიც მომხსენებელის აზრით გასაოცარი იყო თავისი მთლიანობით და სისტემატიური ხასიათით.

ამხ. კამენევმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად იმ დაბრკოლებათა, რომელნიც ხიმართნენ ყველა კონფერენციათა წინაშე უმთავრესი მაინც მიღწეულია. საბჭოთა რუსეთმა ამასწინედ მასთან მტრულ განწყობილებაში მყოფ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დადვა მთელი რიგი ხელშეკრულებებისა. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამერიკის პოზიცია: თუმცა თანდათან, მაგრამ უფრო მეტი გაბედულებით იგი ება სავაჭრო ურთიერთობაში ჩვენთან.

შეეხო რა ლოზანას კონფერენციას და ოსმალეთსა და ინგლისის შორის ომის შესაძლებლობის საკითხს, ამხ. კამენევმა თქვა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ძირითადი პოლიტიკური ლოზუნგი „მშვიდობიანობის დამყარება მთელ მსოფლიოში" უცვლელი რჩება ინგლის ოსმალეთის საკითხშიც. მაგრამ ჩვენ ვეხმარებით ოსმალეთს, და მომავალშიც გაუწევთ დახმარებას, ვინაიდან ჩვენ ვფიქრობთ, რომ სადაო ადგილი,—სტამბოლი—უნდა იყოს პირდაპირი პატრონის ხელში, სრუტეები კი ნამდვილად თავისუფალნი უნდა იყვნენ სავაჭრო გემების თვის და არ უნდა გახდენ ანტანტის სამხედრო ბაზათ ჩვენი და მსოფლიო მშვიდობიანობის წინააღმდეგ.

შემდეგ, შეეხო რა ახალი ეკონომიური პოლიტიკას, მომხსენებელი შეეხო ეკონომიურ ფრონტზე გამართულ ბრძოლას. ამ ჟამად სახელმწიფოს ხელში იმყოფება რკინის გზა, 63.000 ვერსტის მანძილით, 430 ტრესტი, რომელიც აერთიანებს 4 100 საწარმოო დაწესებულებებს და სხვ. შარშანდელ წელთან შედარებით საქონლის შემოტანა გაიზარდა 6 პროც. —23 პროც-მდე. ასევეა მძიმე და მსუბუქ მრეწველობის დარგშიც. რაც შეეხება მანეთის სტაბილიზაციას, უპირობოდ გამაგრდა ჩვენი მანეთის კურსი, მაგრამ ჩვენ წინაშე სდგას სერიოზული ამოცანა: რაც შეიძლება ნაკლებად შემცირდეს იმისია, ავამუშაოთ საგადასახადო აპარატი, და უფრო შევამციროთ სახელმწიფოს ხარჯზე მყოფთა კადრი, რომელიც 6 მილიონიდან უკვე დაყვანილია 2 800 ათასამდე, უკეთესია ვიყოლიოთ პატარა, მაგრამ მატერიალურად უზრუნველყოფილი აპარატი, ვიდრე მრავალრიცხოვანი და ნახევრად მშიერი სახელმწიფო მოსამსახურეთა შტატი

შეეხო რა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, ამხ. ორჯონიკიძემ აღნიშნა, რომ ახლო მომავალში კავშირში შემოვლენ ხივა და ბუხარა. ყრილობის შესახებ საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ყრილობა საქმიანი იყო და ეწეოდა სერიოზულ პრაქტიკულ მუშაობას.

შეეხო რა ტროცკის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს კომინტერნის მე 4 კონგრესის შესახებ, ამხ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტროცკიმ აშკარად და მკაფიოდ დაამტკიცა ბურჟუაზიულ მსოფლიოს სრული გახრწნა და მისი დაცემის აუცილებლობა.

ამ ჟამად, დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრება არის სრული რეგრესი, თუმცა იქ რევოლუციისათვის ობიექტიური პირობები მომზადებულია, მაგრამ სუსტია სუბიექტიური პირობები. მაგრამ მსოფლიო რევოლუცია ახლოა და რუსეთს შეუძლია იამაყოს მსოფლიო რევოლუციის მეზაირატრის როლით.

მოხსენების შესახებ გამოტანილ რეზოლუციაში, კრება ესალმება ყრილობათა ყველა დადგენილებებს და პირობას სდებს მიიღოს ყველა ზომები მათი ცხოვრებაში გასატარებლად.

ნოემბერში, შედარებით იანვართან მოყვანილ საქონლის ჯგუფებიდან მხოლოდ სამი ჯგუფის ფასები შემცირებულა—ეს არის: პურეულობა—38 პროც. ბოსტნეულობა—36 ,როც. და საბაკალეინო არა სასურსათო საგნები — 30 პროც. დანარჩენი საქონლის ჯგუფის ფასები მატებაშია და შედარებით იანვართან ფასების შემდეგ აირ გადიდებას იძლევა.

განვიხილოთ სათითაოდ: 1 **პურეულობის** ფასებს ბათომში სამი მიმართულება ახასიათებს: პირველია თებერვლიდან მაისამდე ფასების დაცემა, შემდეგში ივნის-ივლისში ფასების მატება 4 პროც. და 5 პროც. ხოლო აგვისტოდან უკვე გამუდმებული ფასების შემცირება იანვრის ფასებთან შედარებით; მისი ფასი აგვისტოში თუ 7 პროც. დაბლა იდგა იანვრის ფასებიდან, ნოემბერში უკვე 38 პროც. დაბლა სდგას. წინა მოყვანილი თვეების ფასები იანვრის ფასებზე ქვევით არ ჩამოსულა და მხოლოდ მაისში გაუთანასწორდა მას.

შედარებით იანვრის ფასებთან პურეულობიდან ყველაზე ძალიან ეცემა სიმინდის ფქვილის ფასები—52 პროც. ნოემბერში ღირს 140 ათ. მან., წინააღმდეგ იანვრის 290 ათ. მან ფუთი; შედარებით დანარჩენ საგნებთან ამ ჯგუფიდან ლობიოს ფასები უფრო ნაკლებად მცირდება—29 პროც. ნოემბერში ფასობს ფუთი 273.3 ათ. მან., წინააღმდეგ 380 ათ მან. იანვარში.

2. **ბოსტნეულობის** ფასები აგვისტომდის არ დასცილებია იანვრის ფასებს, ხოლო აგვისტოდან შემცირებას იწყებს და თუ მხედველობაში არ მივიღებთ სექტემბრის ოდნავ გადიდებას, უკვე ზევით აღნიშნული მიზეზის გამო, იგი მცირდება შედარებით იანვრის ფასებთან 35 პროც. ოქტომბერში და 36 პროც. ნოემბერში.

ბათუმის ბაზარზე, ისევე როგორც თბილისის, ბოსტნეულობის საქონლის ჯგუფიდან უკიდურეს ფასების დაცემას განიცდის ნოემბერში შედარებით იანვართან ხახვი—70 პროც. ნოემბერში ფუთი ფასობს 150 ათ. მან. წინააღმდეგ იანვრის—500 ათ. მან. კომბოსტო იაფდება 53 პროც. ნოემბერში ღირს—180 ათ. მან. ფ. წინააღმდეგ იანვრის—380 ათ. მან. ღირებულების; კარტოფილი-კი, მთელი წლის განმავლობაში იანვრის ფასებზე ქვევით არ დაშვებულა და ნოემბერში 16 პროც. მაღლა სდგას მაზე, ფასობს—162,5 ათ. მან. ფ წინააღმდეგ—140 ათ. მან. იანვარში. აღნიშნული საგნების ფასების დაცემა-მერყეობა უნდა აიხსნას აქაც ისევე, როგორც თბილისისათვის იყო აღნიშნული, ერთის მხრივ ფულის კურსის მერყეობით და მეორე მხრივ-კი მისი სეზონური ხასიათით.

3 **ხორცის** ფასი იანვრის ფასზე ქვევით არ დაშვებულა ათი თვის განმავლობაში, თუმცა შედარებით იანვართან მისი ფასები აპრილამდის გამუდმებულ მატებაშია; აპრილში ხორცის ფასი გადიდებულა 122 პროც. შედარებით იანვართან, ხოლო მაისიდან იგი თითქმის გამუდმებული ეცემა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოქტომბრის ოდნავ გადიდებას, და ნოემბერში მხოლოდ 35 პროცენტი-და სჭარბობს იანვრის ფასებს.

ფასების სიდიდის მხრივ ნოემბერში დიდ პროცენტს იძლევა: ქათამი—59 პროც. მეტი, ვიდრე იანვარში, ღირს 127 5 ათ. მ.ნ. წინააღმდეგ—80 ათ. მან. იანვარში; ცხვრის ხორცი—41 პროც. ღირს 28 3 ათ. მან. წინააღმდეგ იანვრის—20 ათ, მან. მინიმალურ ფასების გადიდებას ვამჩნევთ ძროხის ხორცს,—სულ 4 პროც. შედარებით იანვართან, ნოემბერში გირვანქა ღირს—27,5 ათ. მან. წინააღმდეგ 26,5 ათ მან. იანვარში.

4. **ცხიმის** მაქსიმალური ფასები მოდის თებერვალზე—131 პროც. შედარებით იანვართან და აპრილში 139 პროც, მასიდან იწყებს იგი გამუდმებულ დაცემას თუ მხედველობაში არ მივიღებთ სექტემბერს და თუ ოქტომბერში 31 პროც. მეტად ფასობდა ვიდრე იანვარში, ნოემბერში ეს განსხვავება მხოლოდ 25 პროცენტი-ღა შეადგენს.

იანვართან შედარებით ცხიმის ჯგუფიდან ფასების შემცირებას—15 პრ. იძლევა ზეთი, რომელიც იანვარში ღირდა 50.000 მან ხოლო ნოემბერში—43,85 ათ. მან.; დანარჩენი საგნები ნოემბერში იანვრის ფასებზე მაღლა ფასობს. განსაკუთრებით ცხვრის ქონი—55 პროც., ღირს ნოემბერში 47,5 ათ. მან. გირ., წინააღმდეგ იანვრის—45 ათ მან.

5 **რძეული და კვერცხის** მაქსიმალური ფასი—108 პროც. მეტი, ვიდრე იანვარში მოდის თებერვალზე, ხოლო ამის შემდეგ იგი თითქმის გამუდმებული მცირდება და ივლისში თუ მხოლოდ 2 პროც. აღემატებოდა იანვრის ფასებს, ოქტომბერ-ნოემბერში ეს განსხვავება უდრის 4 პროც.

ამ საგანთა ჯგუფიდან ნოემბერში შედარებით იანვართან ფასები შემცირებულა კვერცხზე—40 პროცენტ., ათეული ღირს—30 ათ. მან. ნოემბერში, შედარებით იანვრის 50 ათ. მან.; გაიაფებულა აგრეთვე რძე—28 პროც, ხოლო გაძვირებულა 28 პრ. შედარებით იანვართან ყველი, რომელიც ნოემბერში ფასობს 51,4 ათ. მან გირ., წინააღმდეგ იანვრის—40 ათ. მანეთის.

6. **საბაკალეიო სასურსათო საგნებს** სამი მიმართება ახასიათებს განხილული თვეების განმავლობაში—თებერვლიდან აპრილამდის ეცემა მისი ფასი თანდათან, აპრილში იწევს მაღლა და ივლისამდის კვლავ ეცემა, ხოლო აგვისტოდან იგი გამუდმებული მატულობს და შედარებით იანვარ სექტ. ოქტომბ. ში თუ 36 პრ. მაღლა ფასობდა, ნოემბერში განსხვავება უკვე 57 პროც. უდრის. ამ ჯგუფის საგნების ფასი იანვრის ფასზე მაღლა იყო თებერვალში და მოყვანილი ხნის უკანასკნელ სამ თვეში—სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში, დანარჩენი თვეების განმავლობაში მისი ფასი შედარებით იანვრის ფასთან დაბალი იდგა.

ფასის გადიდების ყველაზე დიდ პროცენტს შედარებით იანვართან იძლევა შაქარი ნაღები—89 პროც. და ჩაი—82 პროც, პირველი ღირდა ნოემბერში 1 800 ათ. მან. ფუთი წინააღმდეგ—950 ათ. მან. იანვარში, ხოლო მეორე 227,5 ათ. მან. გირვანქა წინააღმდეგ—125 ათ. მან. იანვარში.

7. **საბაკალეიო არა სასურსათო** საგნის—საპნის ფასი, შედარებით იანვართან ყველა განხილულ თვეების განმავლობაში დაბალია 6.17 პროც. აპრილში და 30 პროცენტი ნოემბერში.

8. **განათების საგნების ფასი** იანვრის ფასზე ქვევით არ დაშვებულა; მინიმალური გადამეტება იანვრის ფასზე მოდის აპრილში—6 პროც, ხოლო მაქსიმალური ნოემბერში—42 პროც.

ამ ჯგუფიდან გაძვირების მთავარი საგანია ნავთი—75 პროც. ნოემბერში, იანვართან შედარებით ფასობს 7 ათ. მან. გირვანქა, წინააღმდეგ 4 ათ. მან. იანვარში.

9. **ტანთსაცმელის და ფეხსაცმელის** ფასები მხოლოდ თებერვლის და მარტის, ოქტომბრის და ნოემბრის განმავლობაში სდგას იანვრის ფასებზე მაღლა; დაწყებული მარტიდან, ფასებს გამუდმებული კლება ახასიათებს აგვისტომდის, ხოლო სექტემბრიდან იგი შეუჩერებლივ მატულობს და ნოემბერში თავის მაქსიმუმს—11 პროც. გადაჭარბებას აღწევს იანვართან შედარებით.

რას ვხედავთ ამ მოკლე მიმოხილვიდან?

1) საქართველოს ორ უმთავრეს ქალაქში, თბილისში და ბათომში წარსული წლის პირველი თვეების განმავლობაში განსაკუთრებული მაღალი ფასები იყო. იგი გამოწვეული იყო უმთავრესად იმ დროში არსებულ ფულის ტრიალის პირობების ზეგავლენით. შემდეგ ფულის ტრიალის საკითხის მოგვარებისა და ახალი მოსავლის ზეგავლენით ფასების დაცემა ბაზარზე და სექტემბრიდან კი კვლავ ფასები იზრდება უმთავრესად ახალი საბაჟო ტარიფების ზეგავლენით, ფასების ის მიმდინარეობა, რომელიც ამ ორ ქალაქს ახასიათებს თითქმის სრულს გამოძახილს ჰპოვებს საქართველოს პროვინციაშიც.

2. მიუხედავად ფასების საერთო ზრდის, არის საქონლის ისეთი ჯგუფები, რომელიც შედარებით წარსული წლის იანვრის ფასებთან ნოემბრის განმავლობაში მაინც იაფი ყოფილა. ასეთებია: თბილისისათვის—პურეულობა, გაიაფებულა 52 პროც., ბოსტნეულობა—55 პროც. და რძეული და კვერცხი—1 პროც; ბათომისათვის არის: პურეულობა 38 პროც, ბოსტნეულობა—36 პროც. და საბაკალეიო არა სასურსათო საგნებიც—30 პროც. რაც შეეხება დანარჩენი ჯგუფების გაძვირებას, თბილისში მაქსიმალურ გაძვირებას შედარებით იანვართან ნოემბერში იძლევა ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი—93 პროც, ხოლო ბათომისათვის საბაკალეიო სასურსათო საგნები—57 პროც.

დ. კარხელაშვილი.

მუშათა ცხოვრება

არჩევნები რკინის გზათა სამმართველოში

ქალაქის საბჭოს არჩევნები რკინის გზათა სამმართველოში მოხდა ათ იანვარს.

საარჩევნო კრებას დაესწრო ორი ათასი მუშა-მოსამსახურე.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ნ. ლეჟავა, მდივნად—ამხ. მუნტიკოვი. კრებამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1) დელეგატთა არჩევნები მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოში.

2) მიმდინარე საკითხები.

არჩევნების შესახებ სიტყვა თავის მოხსენებისათვის მიიღო ამხ. ივანოვ—კავკასკიმ. მომხსენებელმა ნათლად დაახასიათა მენშევიკების გამცემლური მუშაობა ცხოვრების ყოველ დარგში. შემდეგ მომხს. შეეხო საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერ აღმშენებლობითი მოღვაწეობას. კერძოდ აღნიშნა ქალაქის საბჭოს მოქმედება მიმართული ქალაქის მეურნეობის აღორძინებისა და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

ამხ. ივანოვ-კავკასკის მოხსენების შემდეგ კრებამ მოისმინა და ერთხმად მიიღო „ნაკაზ"-ი კომპარტიის თბილისის კომიტეტისა დეპუტატებისათვის.

კრებამ დაადგინა, რომ ის სცნობს სრულიად დამაკმაყოფილებლად ქალაქის საბჭოს 1922 წელში მუშაობას და გამოსთქვამს სურვილს, რათა მომავალმა საბჭომ განაგრძოს ეს მუშაობა იგივე მიმართულებით და მიზანშეწონილად, როგორც ეს ქნა პირველმა საბჭომ.

ამის შემდეგ კრებამ მიიღო შეუცვლელად საბჭოთა დელეგატების სია, რომელიც წარმოდგენილ იქნა სამმართველოს შეერთებულ კომიაჩეიკის, „დორპროფსოჟ"-ის და შეერთებულ ადგილკომების მიერ.

ამგვარად, საბჭოში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) ოქუაშვილი არჩ. (კომ.) 2) ლეჟავა ნოე (კომ.) 3) ჩხეიძე გორგ. (კომ.) 4) რცხილაძე თ. (კომ.) 5) კალანდია ზოსიმე 6) პოზდეევ ვას. (კომ.) 7) შენემანი ნიკ. (კომ) 8) დიაკონენკო თედ. (კომ) 9) ვორობეიკო დრაჟი (უპარტიო) 10) ირემაძე (უპარ) 11) ლომიძე (კომ-კავ. შრვ.) 12) მარკოვ ჩ ლ. (უპარტ) 13) მუნტიკოვი (კომ.) 14) კნიშევი ვას. (კომ.) 15) კალაძე ალ. (კომ.) 16) ჯაჯლავა (კომ.) და 17) პაატაშვილი (მემარ. სოც. ფედერ.) და ხუთი კანდიდატები, მათში 4 კომუნისტია და 1 უპარტიო.

კრება დაიხურა დღის 4 საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

დამსწრე.

ტრამვაელებში

მიმდინარე წლის 7 იანვარს ტფილისის ტრამვაის სადგომში მოწვეულ იქნა ტრამვაელების საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 600-მდე კაცი. ასარჩევი იყო დეპუტატები ტფილისის ქალაქის საბჭოში.

მომხსენებლები აკოფოვი და ივანოვ-კავკასკი რუსულ და ქართულ ენებზე დაწვრილებით შეეხენ გადარჩევის მნიშვნელობას და მიზანს. იმათ ხაზ გასმით აღნიშნეს ის მუშაობა, რომელიც შეასრულა ძველმა საბჭომ, უმეტესად კომპარტიის წევრებიდან შემდგარმა. მომხსენებლებმა კრებას მიუთითეს იმ დიდ სარგებლობაზე, რომელიც მოუტანა ქალაქის მშრომელთ ყოფილ საბჭომ და მოუწოდეს ახალ საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნეს უმეტესად კომუნისტები, რომელნიც შესძლებენ წაიყვანონ მუშათა მასსები გამარჯვებისაკენ.

მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლუციაში, მუშები გამოსთქვამენ თავის კმაყოფილებას ტფილისის საბჭოს მიერ ძველი ნაკაზის პირნათლად შესრულების გამო და წინადადება მისცეს ახალ საბჭოს, რომ ის არ ასცდეს ძველ ნაცად პოლიტიკურ და ეკონომიურ კურსს.

მოხსენების შემდეგ ტრამვაის კომიაჩეიკის მიერ წარმოდგენილ იქნა დეპუტატების სია, რომელთა შორის უმრავლესობა ეკუთვნოდა კომპარტიას. საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ დასახელებული იყვნენ ამხ. ლენინი და სტალინი, წევრებათ: ამხ. იტრიევი, მასხულია, მამია ორახელაშვილი და სხვა სულ—18 კაცი, მათ შორის 3 კანდიდატი. წარმოდგენილი სია ერთხმად იქნა მიღებული კრების მიერ.

არჩევნების დამთავრების შემდეგ—წაკითხულ იქნა ნაკაზი, რომელიც მიიღეს შემდეგი დამატებით: უნდა ექნეს მიქცეული უდიდესი ყურადღება ქუჩების შეკეთების, კანალიზაციის და განათების გაყვანას უმთავრესად ქალაქის განაპირა რაიონებში, სადაც უმეტესად ცხოვრობენ მუშათა კლასი და ღარიბესი მოქალაქენი.

დასასრულს ამხ. ჭელიძემ, ახლად დაბრუნებულმა საბჭოთა მე-10 ყრილობიდან, გააშუქა საკითხი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მნიშვნელობისა და მიზნის შესახებ და აღნიშნა, რომ ასეთი კავშირის დაარსებით ჩაეყარა მტკიცე საფუძველი ყველა ერების ძმურ ერთობას და სოლიდარობასო. შემდეგ, ამხ ჭელიძემ გააცნო დამსწრენი მოსკოვის ქარხნების ნაყოფიერ მუშაობას და აღნიშნა ის იშვიათი თანხმობა, რომელიც სუფევს მოსკოვის მუშებში. კრებამ დაადგინა—გაეგზავნოს მისალმება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს და წითელ მოსკოვის მუშებს.

ა. ნ.

სიმშილობის მსხვერპლი

(მოგონებანი მუშის მწარე ცხოვრებიდან მენშევიკების ბატონობის დროს).

ნაშუადღევის 4 საათი იქნებოდა, რომ თამბაქოს ქარხნიდან სახლში ვბრუნდებოდი, და როცა მივადექი ჩემი სახლის ქუჩის შესახვევში, აქ შეგროვილ ხალხის ჯგუფმა, ძალა-უნებურად მიიქცია ჩემი ყურადღება...

მიუახლოვდი მათ, რა სურათიც მე ვნახე იქ, იმის ერთი მოგონებაც კი ტანში ჟრუანტელს მგვრის... მე ხშირად გამიგონია, რომ ადამიანები შიმშილით იხოცებიანო, მაგრამ ნახვით კი მანამდის არსად მენახა; ამ დღეს კი ეს საშინელი სურათი ცოცხლად წარმომიდგა.

ქუჩის ერთ კუთხეში ცივ ქვებზე ეგდო ერთი ადამიანი, ასე ოცდა ათი წლის დედაკაცი, რომელსაც სახეზე სიკვდილის ფერი დასდგომოდა, თვალები ჩასცვივნოდა, კბილები მაგრად მოეჭირა და ოდნავღა სუნთქავდა, მაგრამ უფრო მწარე და სამწუხარო სანახავი ის იყო, რომ მის გვერდით ასე ერთი წლის ბავშვი იჯდა, რომელსაც წინ გამხმარი პურის ნატეხები ეყარა. დაღონებული ბავშვი თავის პატარა თითებით მომაკვდავ მშობლის ძუძუებს ეპოტინებოდა და თან გულ ამოსკვნილი მწარედ სტიროდა. ამ საშინელ სურათის მაყურებელი ხალხი სიბრალულმა შეიპყრო და ბევრს ცრემლებიც კი მოჰგვარა. დედა კი გონ-დაკარგული იყო და ბავშვის ტირილი სულაც არ ესმოდა. მცირე ხნის შემდეგ მან თვალი გაახილა, მოინდომა, რომ ბავშვი დაეჩუმებინა; ცოტა ბავშვისაკენ წამოიწია, მაგრამ მკლავები არ ემორჩილებოდა, და ძალა უნებურად საბრალო ქალი ისევ ცივ ქვაზე დაეცა, ეტყობოდა, რომ ის კიდევ გრძნობდა, რომ მისი უსუსური ბავშვი უმწეოთ რჩებოდა, მას დედა უკვდებოდა და მშველელი კი არსად სჩანდა; ბავშვიც, თითქმის, გრძნობდა, რომ ის უნდა დაობლებულიყო. მას ძუძუს მიმცემი არავინ ეყოლებოდა. თავის პატარა თვალები ცრემლის მდინარედ გარდაქცეოდა. ხშირად, ხან ერთ მაყურებელს და ხან მეორეს მიაპყრობდა თავის ნორჩ, პაწაწა თვალებს, თითქოს, ეხვეწებოდა ხალხს: „მიშველეთ ნუ მომიკლავთ დედას, ნუ დამტოვებთ ობლად, ნუ მომაკლებთ მშობლის ალერსსო".

მაგრამ ვინ იყო მშველელი. ყველა სიბრალულით უყურებდა ამ საშინელ სურათს. შემდეგ კი თავის ქნევით გაუდგებოდა გზას. მე სიბრალულმა გული ამიჩუყა და გადავწყვიტე, რომ ბავშვი წამეყვანა ჩემ სახლში. დედა, ჩემ ბავშვთან ერთად ესეც გაიზრდება, ჩემი ბავშვის ხვედრი ძუძუთი ამანაც ისაზრდოოს მეთქი. და ბავშს მიუახლოვდი ჩემი გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ, უეცრად, ამ დროს გამოჩნდა ორი ახალგაზრდა კაცი. ერთ მათგანმა ს ჩქაროდ ამოიღო ჯიბიდან ავადმყოფის გასასინჯი ხის „ტრუბა" და გაცივებულ ადამიანს გულზე დაადო; ყური დაუგდო და მცირე ხნის შემდეგ სთქვა: „ეს აღარ მორჩებაო"!

ვინ იცნობს ამას? ვინ იცის ამის მისამართი? დაეკითხა ახალგაზრდა ექიმი. „მე ვიცნობ" უპასუხა ერთმა იქ მდგომმა პირმა „ეს ჩემი მეზობელია" და მისცა მას მისამართი, უთხრა გვარი და სახელი და შეუდგნენ წერას. ბავშვი ტირილისაგან არა სცხრებოდა, არც არავის ეკარებოდა და სულ მომაკვდავ მშობლისაკენ იწევდა, თითქოს ამით უნდოდა, რომ მომაკვდავ-მშობელი გრძნობაზე მოეყვანა და რომ მცირე ხანს კიდევ დამტკბარიყო მშობლის ალერსით მაგრამ საბრალო დედა უკვე გაცივებული იყო, ის უკვე ამ ქვეყანას აღარ ეკუთნოდა...

მუშა ალ. ბ—შვილი.

(დასასრული იქნება)

ეკონომიური ცხოვრება

რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების კურსი.

13 იანვარი დილის 12 საათ. ბანკი ჰყიდის ოქროს 10 მან. 5,000,000 მან. ქართული ბონებით ანუ საბჭოთა ფულის ნიშნებით 285 მილ. მან, ყიდულობს 4,900 000 მან. ქართულ ბონებით, ანუ 285 მილ. საბჭოთა ფულის ნიშნებით.

თავისუფალ ბირჟაზე ფასები უფრო დაბალია, ვინემ სახელმწიფო ბანკის მიერ კურსის შემდეგი დაწევის შიშით.

ოქროს 10 მან. თავისუფალ ბირჟაზე ღირს 4,600,000—4,700,000 მ. ოსმალური ქაღალდის ლირა—440 000 მან.

ამავე დროს ადგილი აქვს ოქროს და დოლარის პარიტეტის დაწევას ლირასთან შეფარდებით: ოქროს 10 მან.—10 ლირ. 70 პიასტრი, დოლარი—1 ლირა 90 პიასტრი.

რადგან ბაზარზე ოქროს კურსი აღმოჩნდა უფრო დაბალი სახელმწიფო ბანკის კურსთან შეფარდებით, გაძლიერდა ოქროს მიწოდება ბანკისათვის, რის გამო ბანკმა დასწია კურსი: გაყიდვა 4,800,000 ყიდვა—4,600,000. ბაქოდან და ერევნიდან მიღებულ ცნობებით კურსი ეცემა, მტკიცდება თბილისის კურსის მიხედვით, სათანადო ნიშნებზე გადაცვლით. ქართულ ბონების გადაცვლა ამიერ-კავკასიის ბონებზე სწარმოებს ნორმალურად. უნდა ველოდეთ კურსის შემდეგ დაწევას იმის გამო, რომ პანიკა საბოლოოდ განვლილია.

საქონლის ბაზარზე

მთლიან მუშათა კოოპერატივებმა 2 დღის განმავლობაში დაურიგდა სახელმწიფო ბანკის 2 ნახ. ვაგ. ფქვილი და 1 ნახ. ვაგ. შაქარი. ამის გამო კერძო ვაჭრობა საგრძნობლად შეწყდა ფხვნილი შაქრის ფასი დაეცა 100,000 მანეთამდე ფქვილი ისევ ისე ფასდება.

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე

განწყობილება საერთოდ სუსტია. ყიდვა-გაყიდვის აქტისი ნაკლებია. განსაკუთრებით ნაკლებია. განსაკუთრებით ნაკლებია მოთხოვნილება მანუფაქტურაზე. მხოლოდ ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ხორბალზე, ქერზე და სხვა სურსათზე.

დღის სამი საათისთვის მთელი ბაზარი დაცარიელებულია—მთელი შემოტანილი სურსათი გაყიდულია. ბერძნების ქარვასლაში სრული სიჩუმეა—მყიდველები არ სჩანან. ფასები ფქვილზე დაეცა. ყუბანის ფქვილი იყიდება ოქროთი თვითღირებულებაზე დაბლა. დაეცა ფასი შაქარზე: ჰოლანდიის შაქარი რაფინადი—ფუთი 32 ოსმ. ქაღ ლირა, ჩეხო-სლოვაკიის—30 ოსმ. ქაღ. ლირა, შაქარი ფხვნილი—7,50 ლირა. ფასები შემდეგია: ყუბანის ფქვილი „სევანკა"—680 ადგილობრივი ხორბალი—390—400 ადგილობრივი ქერი—240—250, სიმინდი—240—250, ადგილობრივი ხორბლის ფქვილი—400—420, სიმინდის ფქვილი—320—330, შაქარი რაფინადი ჰოლანდიის ყუთი სამი ტომრით—17.000—18.000 (32 ქაღ. ლირა), შაქარი ფხვნილი ფუთი—4 3000—4.400. (75 ოსმ. ქაღ. ლირა), ნარმა CCC 40 იარდი—25 ოსმ. ქაღ ლირა. რუსული ნარმა—არშინი—130—135, საზღვარ-გარეთ. ჩითი იარდი—38 40 პიასტრი, რუსული ჩითი—არშინი—120—140, ინგლისის შევიოტი—მეტრი—8—9 ოსმ. ქაღ. ლირა. საზღვარ-გარეთული სატინი—მეტრი—130—140 პ. მარმარილოს საპონი პირველი ხარისხის ფუთი—8,000.

ტფილისის ფულის ბაზარი

12 იანვარი. რუსეთის სახელმწიფო ბანკის და საქართველოს სახალხო ბანკის მიერ ოქროს 5 800 ათასად გაყიდვის გამო, კერძო ბაზარზე ოქროს 10 მანეთიანის კურსი ეცემა. საერთოდ მდგომარეობა გამოურკვეველია. ოქროს 10 მ. ყიდიან 6 000 ათ. მ. ოსმ. ქაღ. ლირა 530—535 ათ. გირვანქის პარიტეტი (ბანკნოტი) 9 ოსმ. ქაღ. ლირა; დოლარი 2 ოსმ. ქაღ. ლირა საბჭოთა ფულის ნიშნები ერთი მილიონი (100 მ. 22 წლის ფულის ნიშნებით)—17—18 ათასი მანეთი.

საზოგ. „ჩემოში"

ექსპორტი.

გემი „კუინ ალექსანდრა" იტვირთება ფოთში—იგი წაიღებს 6300 ტონა შავ ქვას როტერდამისათვის.

9 იანვარს მოვიდა ფოთში და იტვირთება გემი: „ბიუტტოუნი" და „ბუსკიუნი". პირველს განზრახული აქვს წაიღოს ინგლისში 4000 ტონა მადანი, მეორეს 4800 ტონა—ამერიკაში.

ამ დღეებში მოვა ფოთში გემი „უინზელიდონი", რომელიც წაიღებს 4500 ტონა შავ ქვას შულონში.

ბათომში მოელიან გემის „ასტირის" მოსვლას, რომელიც წაიღებს 500 ტონა გარეცხილ მადანს მარსელში.

საბჭოს ახალი შემადგენლობა.

საზოგადოება „ჩემოში" ფირმების ახალ ნაწილების მონაწილეობის მიხედვით, ახალი საბჭო შედგენილია შემდეგ პირთა შემადგენლობით: ის. ს. ვარაზაშვილი, ივ. ს. ვარაზაშვილი, მ. ნ. მანჩულია, ა. ფ თოფურია, ლ. გ. ვიურცბურგერი, ა. გრიგორაშვილი, ტ. ტ. ტარსკი, მ. გ. გომელი, პ. ს. მოდებაძე, და ე. ი. სალონიკიძე. მათ კანდიდატებათ: ი. დ. გერძე, ი. ლ. თევზაძე, რ. ს. აჯაფარიძე, ვ. ა. ლანგუსი და ქ. გ. გომელი. საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები გადადებულია 15 იანვრისათვის. თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ ლ. გ. ვიურცბურგერი.

კოოპერაცია

ცენტროკავშირის საბჭოს სესია

ამიერ კავკასიის ყველა კოოპერატიულ კავშირებისაგან ამ დღეებში მიემგზავრებიან წარმომადგენლები.

სრულიად რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალურ კავშირის (ცენტროკავშირის) საბჭოს მე-7 სესიაზე. ცენტროკავშირის საბჭოს მომავალ სესიას კოოპერატიულ წრეებში აძლევენ დიდ მნიშვნელობას.

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კონფერენცია.

თებერვლის შუა რიცხვებში, ცენტროკავშირის საბჭოს მე-7-ე სესიიდან ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირების წარმომადგენლების დაბრუნების შემდეგ, თბილისში მოწვეული იქნება ამიერ კავკასიის მეორე კოოპერატიული კონფერენცია. ამ კონფერენციაზე დამტკიცებული იქნება ამიერ-კავკასიის კავშირის კოოპერატიულ გაერთიანებათა წესდება, საბოლოოდ გამორკვეული იქნება მის მონაწილეთა შემადგენლობა და გადაჭრილი მთელი რიგი ძირითადი საკითხები ა თბილისის კოოპერატიულ აღმშენებლობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ორგანიზაციულ საინსტრუქტორო თათბირი.

ამიერ კავკასიის კოოპერატიულ კავშირის საბჭოს დეკემბრის სესიის დადგენილების თანახმად, თებერვალში, ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კონფერენციის დამთავრების შემდეგ, თბილისში მოწვეული იქნება ორგანიზაციულ-საინსტრუქტორო თათბირი. თათბირის მიზანს შეადგენს ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში კოოპერაციის ორგანიზაციულ აღმშენებლობის გამოცდილებათა გათვალისწინება, აღრიცხვის და სტატისტიკის ერთიან ფორმის გამომუშავება, კავშირის გაბმა ყველა კოოპერატიულ გაერთიანებათა ორგანიზაციულ განყოფილებებს შორის.

დახმარება თბილისის კოოპერაციისადმი.

კოოპერატივების თბილისის რაიონულ კავშირის ლიკვიდაციის გამო, ცეკავშირში აღძრული იყო საკითხი თბილისის ქალაქის კოოპერაციისათვის დახმარების წესის შესახებ. გადაწყდა ცეკავშირთან მოეწყოს თბილისის კოოპერატივების დამხმარე განყოფილება, რომელიც გაატარებს იმ ზომებს, რომელიც წინათ დასახული ჰქონდა რაიონულ კავშირს.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში

კომიტეტის პრეზიდიუმმა ამა წლის 11 იანვრის სხდომაზე დაადგინა: მიეცეს წყალდიდობისაგან მიღებულ ზარალის ასანაზღაურებლად რაჭისა და ოზურგეთის მაზრებს ორ-ორი მილიარდი მანეთი, ლეჩხუმის მაზრას ერთი მილიარდი, სენაკის, გორის მაზრებს და ქალ. ფოთს ხუთას-ხუთასი მილიონი მანეთი. საქმე მოქ. დ. ლორთქიფანიძისა, რომელმაც დაარღვია კომიტეტთან დადებული ხელშეკრულება, გადაეცეს საქართველოს საგანგებო კომისიის სათანადო მსვლელობის მისაცემად. მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო დახმარების განყოფილებას 1922 წ. ნოემბრის და დეკემბრის ხვედრი ფული ორასი მილიონი მანეთი ინვალიდებისთვის დახმარების აღმოსაჩენათ.

ქრონიკა

შინაგ. საქმეთა კომისარიატში

— **დადგენილება.** შინაგან საქმეთა კომისარიატმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც აკრძალულია ალყის დროს ჯარის ნაწილების, სამხედრო გემის, სანგრების და სხ. სამხედრო იარაღების ფოტოგრაფიული სურათის გადაღება, კომისარიატისაგან ნება დაურთველათ, რომელიც მსურველს მიეცემა არმიის რევოლიუციონურ საბჭოს დასკვნით. ის პირები, რომლებსაც არ აღმოაჩნდებათ ხსენებული ნებართვა და სურათს გადაიღებენ—გადაეცემიან რევ. სასამართლოს. ხსენებული კანონის დაცვა ევალება მუშათა და გლეხთა მილიციას.

— **ამხ. ალ. ჯაფარიძის სახელობის ბავშვთა თავშესაფარი.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა და თბილისის სამაზრო აღმასკომმა მიიღეს თავიანთ მფარველობის ქვეშ ალ. ჯაფარიძის სახელობის ბავშვთა თავშესაფარი, რომელიც მოთავსებულია ვაკეში და იფარებს 50 ბავშვს.

ქალაქის აღმასკომში.

— **დიდუბის ბორანის აღდგენა.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროთ სცნო დიდუბის ბორანის აღდგენა, რისთვისაც დაადგინა, დაევალოს საამშენებლო ქვეგანყოფილებას, სასწრაფოთ გამოარკვიოს ბორანის მდგომარეობა და მის აღსადგენით მიიღოს ზომები, რის შესახებაც მოახსენოს პრეზიდიუმს.

— **სავალდებულო დადგენილება** პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე დაადგინა: ხილეულობის, ხელოვნურ მინერალური წყლების და ტკბილეულობის დამამზადებელ სახელოსნოებისათვის შესაფერი სავალდებულო დადგენილებების შემუშავება და გამოცემა დაევალოს ჯანმრთელობის განყოფილებას ადმ. კომის საქმეთა მმართველთან ერთად.

— **სახელმწიფო დროშა აღმასკომის შენობაზე.** პრეზიდიუმმა დაადგინა აღმასკომის შენობის ფასადზე გაკეთებული იქნეს უბრალოთ ჩაქუჩნამგლის და ვარსკვლავის გამოხატულება განათებით, ხოლო სხდომების დარბაზში ჩამოკიდებული იქნეს სახელმწიფო დროშა თავისი ნაქარგი გამოხატულებით. აღნიშნულ მიზნისათვის გადაიდვას 32 მილიონი.

— **პირველი და მეცამეტე რაიონის მილიციის ბინების შეცვლა.** პრეზიდიუმის დადგენილებით განმეორებით ეძლევა წინადადება საამშენებლო განყოფილებას, დაუყოვნებლივ შეაკეთოს 1-ლი და 13-ტე რაიონის მილიციის სამმართველოების ბინები.

— **საბინაო საკითხი.** ვინაიდან უკვე წარმოებულმა ბინების შეჭიდროებამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია და აღრიცხვაზე ლებული ბინები მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, პრეზიდიუმის დადგენილებით საბინაო განყოფილებას დაევალა რათა ბინების მთხოვნელებს გამოუცხადოს, რომ განყოფილებას არ შეუძლია მათი დაკმაყოფილება, ხოლო დახმარებას გაუწევს, ვინც თვითონ აღმოაჩენს ბინას.

მიწათ-მოქმედების კომისარიატში

— **ყველის დამამზადებელი ქარხნები.** მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა დაადგინა აამუშაოს ბაშკიჩეთის ყველის დამამზადებელი ქარხნები. ქარხნები გადაეცემა იჯარით კოოპერატივებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე იჯარით გადაეცემა კერძო პირებსაც საბალახოები და სათიბები ხსენებულ ქარხნისა

— **ღვინოების გამოფენა.** მეღვინეობისა და მევენახეობის ქვეგანყოფილების გამგემ მოხსენება წარადგინა სახ. მიწად-მოქმედების კომისარიატში, სახალხო მამულების ღვინოების ნიმუშების გამოფენის შესახებ. გამგის აზრით გამოფენის მოწყობა აუცილებელია, რათა გამორკვეულ და შემოწმებულ იქნეს ღვინოების ხარისხი.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

— **საფეიქრო ქარხანა.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა საფეიქრო ქარხნის საჭიროებისათვის 1.000 მან. გადასდო ოქროთი. ამას გარდა დაადგინა, მისცეს ქარხანას 400 ფუთი მატყლი. ამ ქარხანას, რომელიც მოთავსებულია ორთაჭალაში მირზოევის სოულ საქსოვ ქარხნის შენობაში და რომელიც მხოლოდ ახლახან გადმოვიდა სახ. ს. ს. კომისარიატის ხელში, ამ ჟამად განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული და მიღებულია ზომები, რომ იქ რაც შეიძლება მეტი და კარგი ღირსების საქონელი დამზადდეს

— **მაუდი განათლების კომისარიატის თანამშრომელთ.** განათლების სახალხო კომისარიატის ადგილკომის შუამდგომლობის გამო [illegible] საქონლის დათმობის შესახებ, სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, დაუთმოს განათლების კომისარიატის 90 თანამშრომელს მაუდი ნაღდ ფულზე.

კრებები და მოხსენებები

—ოთხშაბათს 17 იანვარს საღამოს 7 საათზე „განათლების მუშაკთა სახლში“ (კალოუბნის ქ. № 3) შესდგება ლისიციანის მოხსენება— „ფიზიკური აღზრდა“.

სხვა და სხვა.

— **„ენი ფიქრი“.** თურქული გაზეთი „ენი-ფიქრი“, რომელიც ჟამამდე გამოდიოდა კვირაში საჯერ—15 იანვრიდან გამოვა ყოველდღიურათ. ყოველდღიურ გაზეთის პირველი ნომერი 15 იანვრისათვის გამოდის 6 გვერდით.

ხელოვნება

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში, მ. ქორელის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება მელოდრამა „ორი ჯიბგირი“.

— **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში, წარმოდგენილი იქნება ეგ. ნინოშვილის პიესიდან გადმოკეთებული წერეთლის მიერ „სოფლის გმირები“. პიესას დადგამს შალვა დადიანი.

— **კონსერვატორია.** დღეს, სახელმწიფო პირველ კონსერვატორიაში გაიმართება დიდი კონცერტი ამავე კონსერვატორიის მოწაფეების მონაწილეობით.

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა—„გუგენოტები“ პოპოვას, ალეშკოს, აგრანოვსკის, ინაშვილის, შარაშიძის, საბინინის და სხ. მონაწილეობით, რუსთაველის თეატრი—„ორი ჯიბგირი“, ახალი თეატრი—პავლე პირველი, ქართული კლუბი—გლაგოლინის და ვალერსკის გასტროლი სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა—სოფლის გმირები, მუშათა ცენტრალური კლუბი—რუსული დრამა, 1-ლი სახელმწიფო კონსერვატორია—კონცერტი კონსერვატორიის მოწაფეთა მონაწილეობით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის შესახებ.

1. ბეჭდვითი ნაწარმოების ყოველგვარი ცენზურის გაერთიანების მიზნით განათლების სახალხო კომისარიატთან არსდება, განათლების სახალხო კომისარის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის ქვეშ,—ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობა და მისი ადგილობრივი ორგანოები საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო განათლების განყოფილებებთან.

2. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარ მართველობას და მის ადგილობრივ ორგანოებს დაეკისრებათ:

ა) წინასწარი განხილვა ყველა გამოსაქვეყნებლად და გასავრცელებლად დანიშნულ ნაწარმოების, როგორც ხელთნაწერის, ისე დაბეჭდილის, პერიოდულ და არაპერიოდული გამოცემის, სურათების, ნახატების, რუქებისა და სხვ.

ბ) ცალკე ნაწარმოების, აგრეთვე პერიოდული და არაპერიოდული ბეჭდვითი ორგანოს გამოცემის ნებართვის მიცემა.

გ) გასასყიდათ და გასავრცელებლად აკრძალულ ნაწარმოებთა სიების შედგენა.

დ) ბეჭდვითი საქმის შესახებ ყველა ბეჭდვითი ორგანოებისათვის, გამომცემლობისათვის, სტამბებისათვის, ბიბლიოთეკებისათვის და წიგნის მაღაზიებისათვის სავალდებულო წესების, განკარგულებების და ინსტრუქციების გამოცემა.

3. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობა და მისი ადგილობრივი ორგანოები აკრძალავენ იმ ნაწარმოების გამოცემას და გავრცელებას,

ა) რომელიც შეიცავს აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ;

ბ) რომელიც ააშკარავებს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოებას;

გ) რომელიც ტყუილი ცნობების გავრცელებით აღელვებს საზოგადოებრივ აზრს.

დ) რომელიც აღვივებს შოვინისტურ და რელიგიურ ფანატიზმს;

ე) რომელსაც პორნოგრაფიული ხასიათი აქვს.

4. რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ და სამაზრო კომიტეტების გამოცემანი და საერთოდ პარტიული კომუნისტური ლიტერატურა, აგრეთვე საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობისა და პოლიტიკური განათლების მთავარი მართველობის გამოცემანი თავისუფალია ცენზურისაგან; ამ გამოცემათა მიმართ ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობას და მის ორგანოებს ეკისრება ღონისძიების მიღება სამხედრო ცენზურის ინტერესების უზრუნველსაყოფად. უწყებათა სპეციალური გამოცემანი განთავისუფლდება ცენზურისაგან ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის და სათანადო სახალხო კომისარიატის შეთანხმებით.

5. რესპუბლიკაში გამოცემულ ყველა ბეჭდვითი ნაწარმოებს, გარდა მეოთხე მუხლში აღნიშნულისა, უნდა ჰქონდეს ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის და მისი ადგილობრივი ორგანოების ვიზა.

6. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია, და მისი ორი თანაშემწე, რომელთაც ნიშნავს იგივე კოლეგია საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატთან და საქართველოს საგანგებო კომისიასთან შეთანხმებით და, რომელნიც ექვემდებარებიან, როგორც გამგეს, ისე, კუთვნილებისამებრ, სათანადო ორგანოს.

7. ქალ. ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში მოეწყობა ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის განყოფილებანი. ხოლო სხვა სამაზრო ქალაქებში დაინიშნებიან, საჭიროებისა და მიხედვით ცენზორნი. განყოფილებათა შედგენილობას და იმ სამაზრო ქალაქების განაწერს, სადაც ცენზორნი უნდა იმყოფებოდნენ, განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარიატი—სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატსა და საქართველოს საგანგებო კომისიასთან შეთანხმებით. ცენზორებს დანიშნავს მთავარი მართველობა.

8. იმისდამიუხედავად, თუნდაც ამა თუ იმ ადგილას გამოცხადებული არ იყოს სამხედრო მდგომარეობა,—ცენზურის ორგანოები უწყებული ადგილისა,—სამხედრო აუცილებლობის მოსაზრებით და სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატისა და ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარ მართველობასთან შეთანხმების წესით,—გადადიან სამხედრო უწყების ქვემდებარეობაში, ან ამ უკანასკნელს ნება ეძლევა გაჰგზავნოს იმ ადგილას სპეციალური ცენზორი.

9. სანახაობების და თეატრალური წარმოდგენების ზედამხედველობა ტფილისში ეკისრება მთავარ მართველობას, ქალ. ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში—მთავარი მართველობის განყოფილებათ,—ხოლო სხვა ადგილებში—მისივე ორგანოებს.

შენიშვნა: იმ ადგილას, სადაც ცენზორი არ იქნება, მის ფუნქციებს შეასრულებს მახლობელი ცენზორი.

10. საჩივარი ცენზორის დადგენილების გამო შეტანილ უნდა იქნეს მთავარ მართველობაში ორი კვირის ვადაზე დაინტერესებული პირისათვის გამოცხადების დღიდან.

11. ბეჭდვითი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 230 და 231 მუხ. თანახმად.

12. საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებს დაეკისრებათ ბრძოლა მთავარი მართველობის მიერ ნებადაურთველ ნაწარმოებთა გავრცელების წინააღმდეგ; აგრეთვე შემდეგი ზედამხედველობა სანახაობების, სტამბებისა, საბაჟო და სანაპირო პუნქტებისათვის; აგრეთვე ბრძოლა არა-ლეგალური გამოცემებისა და მათი გავრცელების წინააღმდეგ; ბრძოლა—ნებადაურთველი ლიტერატურის საზღვარგარეთიდან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასავრცელებლად შემოტანის წინააღმდეგ, მეთვალყურეობა რუსეთისა და უცხოეთის ლიტერატურის ყიდვა-გაყიდვისათვის და მთავარი მართველობისა და მისი ორგანოების მიერ ნებადაურთველი წიგნების ჩამორთმევა მე-2 მუხ. გ) პუნქტში აღნიშნული სიის თანახმად.

შენიშვნა: მთავარი მართველობის მიერ გამოცემული სიებით სისწორით და გადუხვევად ხელმძღვანელობა სავალდებულოა საგანგებო კომისიის ორგანოებისათვის, ცალკე ნაწარმოების გამო, რომელიც შეტანილი არ იქნება აღნიშნულ სიებში; საგანგებო კომისიის ორგანოები, ყოველ ცალკე შემთხვევაში, მიმართავენ მთავარ მართველობას მათი ნებართვის ან აკრძალვის შესახებ.

13. სტამბისა და ლიტოგრაფიის გამგე, სასამართლოს წესისამებრ პასუხისმგებლობით, მოვალეა ურყევად ადევნოს თვალყური, რათა სტამბაში და ლიტოგრაფიაში დასაბეჭდ ნაწარმოებს, გარდა მე-4 მუხლში აღნიშნულისა ჰქონდეს მთავარი მართველობის და მისი ორგანოების სანებართვო ვიზა.

14. სტამბისა და ლიტოგრაფიის პატრონი და გამგე მოვალეა წარადგინოს ცენზურის ორგანოებში ყოველგვარი დაბეჭდილი ნაწარმოების ხუთ-ხუთი ცალი დაუყოვნებლივ დაბეჭდვისთანავე.

15. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარ მართველობის შტატი დამტკიცებულ იქნეს 7 პირის შედგენილობით.

16 დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 12
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ორშაბათს, 15 იანვარს საღამოს 6 საათზე პარტიის მეორე რაიკომის შენობაში გაიმართება (რუსულ ენაზე) ა. ესსენის წრის კრება.

— ორშაბათს, 15 იანვარს, საღამოს 6 საათზე, კულტურულ განყოფილებაში შესდგება გალკინის წრის კრება.

— სამშაბათს 16 იანვარს და შაბათს 20 იანვარს, საღამოს 6 საათზე ბეჭდვითი კავშირის ბინაზე შესდგება მედვედევის წრის კრება.

— კვირას, 21 იანვარს,—11—2 საათამდე ამიერ-კავკასიის საგანგებო რაზმის შენობაში შესდგება გალკინის წრის კრება.

— სამშაბათს 23 იანვარს და შაბათს 27 იანვარს საღამოს 5 ს.—7 ს. საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის ბინაზე გაიმართება გალკინის წრის კრება.

— ოთხშაბათს, 24 იანვარს, საღ. 7 საათზე სკოლის გარეშე მუშაკთა სახლში გაიმართება პენიაკოვის წრის კრება.

— შაბათს, 27 იანვ., საღამოს 7—9 ს. ცენტრ. პარტიულ სკოლის შენობაში გაიმართება ამხ. ნოვიკოვის ხელმძღვანელობით სტუდენტთა წრის კრება.

— სამშაბათს 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის შენობაში შესდგება შეფების ბიუროს კრება მოწვეული არიან: ბიუროს წევრები—ოთარბეკოვი, ლ. დუმბაძე, პანკრატოვი, პუგაჩევი, სიროტკინი და კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ განყოფილებათა წარმომადგენლები.

გთხოვთ ნუ დაიგვიანებთ.

შეფების ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი: არუსტანოვი.

პროფესიონალური

— **საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ყრილობის დელეგატების ყრილობა გაიხსნება დღეს 14 იანვარს დღის 12 საათზე განათლების მუშაკთა სახლში.** (კალოუბნის № 3) იქავე დილის 11 საათზე შესდგება ყრილობის კომფრაქციის სხდომა.

განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე—შავერდოვა.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის თავმჯდომარე—ავენირი.

სექციის მდივანი—გიულუმიანი.

— საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი სთხოვს ამხ. ფუტურიძეს შეიაროს კომისარიატის სამმართველოში.

განცხადებები

ლუკა ანტონის ძე, ოლღა ივანეს ასული და ნინო ლუკას ასული ხელაშვილები ბიძა და ძალო, დათა ანტონის ძე, მაშო სიმონის ასული ხელაშვილები და ლადო აბრამის ძე, ნუცა ივანეს ასული ხუთისაშვილები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ სამშაბათს 16-ს იანვარს 1923 წლის გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ ერთად ერთ ვაჟიშვილის, ყოფილ რეალური სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფე

ნიკოლოზ (კოლა) ლუარსაბის ძის

ხელაშვილისა

გადახდილი იქნება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში.
(42—2—1)

რუსთაველის თეატრი

დღეს, 14 იანვარს

ორი ჯიბგირი

დადგმა მ. ქორელისა.

დასაწყისი სრულ 8 საათზე. (კრ. 55—1—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 14 იანვარს

გუგენოტები

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 56—1—1)

საექიმო პერსონალის პირთათვის,
რომელნიც არ არიან აღრიცხულნი
სამხედრო სასანიტარო
განყოფილებაში

და არ აქვთ საადრიცხვო ბარათები, აღრიცხვაზე თავის ნებით გამოცხადებისათვის და საადრიცხვო ბარათების მიცემისათვის, ინიშნება ერთი კვირა: 23—30 იანვრამდე.

საექიმო კომისია იქონიებს სხდომას აღნიშნულ რიცხვებში ყოველ დღე დილის 11 საათიდან 2 საათამდე გარდა კვირა დღისა.

აღრიცხვა ეხება მამაკაცებს: მედიკოს ექიმებს 55 წლამდე და კბილის ექიმებს, ფარმაცევტებს და ექიმის თანაშემწეებს 45 წლამდე

ა. წ. 31 იანვრის შემდეგ ყველა მედპერსონალი ვისაც არ ექნება ხელზე აღრიცხვაზე აყვანის საბუთი, იქნებიან მიცემულნი სახალხო სამართალში სამხედრო აღრიცხვის უარყოფისათვის.

სამხედ. სასანიტ. განყ. უფროსი კოლეგიის წევრი ვ. ფანცხავა.

საქმის მწარმოებელი ი. აბრამიშვილი.

12 იან. 1923 წ. ქ. თბილისი.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

სამმართველო

ამით აცნობებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცალკე **სახალხო კომისარიატებს** და დაწესებულებებს, რომ ამა წლის 15 იანვრიდან **კრედიტით გადაზიდვა** ნება დართული იქნება მხოლოდ **სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშის უზრუნველყოფის პირობით**, ამის გამო **სახალხო კომისარიატებს**, ვთხოვთ მათ მუშაობაში დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად მიიღონ სასწრაფო ზომები სახელმწიფო ბანკში სათანადო კრედიტის თავის დროზე გახსნისათვის.

დედანს ხელს აწერს სამმართველოს კომერციული დირექტორი **ლედერი.**

ეკონომიური ნაწილის უფროსი **აზელოვი.**

(კრ. 54—3—1)

განკარგულება.

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულისა საქართველოში.

ქ. თბილისის მე 7, 8 და 12 საგადასახადო განყოფილებათათვის გადაიდოს 1922 საგადასახადო წლის საშემოსავლო გადასახადის გასაწერი ვადები შემდეგ ნაირად:

1) ხარჯის ფურცლები უნდა დაეგზავნოთ გადამხდელთ არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 თებერვლისა.

2) გადამხდელთაგან საპასუხოების შესატან უკანასკნელ ვადათ დაწესდეს მიმდინარე წლის 1 მარტი.

3) აღრიცხულ გადასახადის საურავ დაურიცხავათ შეტანის უკანასკნელი ვადა დაწესდეს მიმდინარე წლის 15 მარტი.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში ბაბუნაშვილი.

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე ბეზირგანაშვილი.

საქართველოს ტექნიკური საამშენებლო ბიურო
„სატსამზო“
მთავარი სამმართველო: ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 3 ტელ. 8—26, დეპეშის მისამართი—ტფილისი, „სატსამზო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ სენაკში
ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტექნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტექნიკურ მასალების დიდი რაოდენობა. (კრ. 682—10—9)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით. რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. ექიმობა სიფილისის ნერვიულ გართულებათა.
სავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—13)

დავკარგე პ-რადობის მოწმობა მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გიორგი ალ. ნემსირიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (41—1—1)

დღეს, 14 იანვარს, ყველა კომისარიატებში სწარმოებს
სამოქალაქო გადასახადის მიღება
დილის 9 საათიდან.
სამოქალაქო გადასახადის [illegible]

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის
მიწად-მოწყობის და საძოვარ ადგილების
განყოფილება

ამით აცნობებს მეთევზეებს და ყველა დაინტერესებულ პირებს, რომ ხუ შაბათს, 25 იანვარს, დღის 12 საათზე განყოფილების შენობაში (სასამა თლოს ქ. № 32).

გაიმართება
საჯარო ვაჭრობა

1923 წლისათვის მდინარე მტკვარში, ხრამში, დებედაჩაიში, არაგვ და ყარაიაზის ტბაში თევზის ჭერას უფლების გაცემისათვის.

ვაჭრობის მსურველები აძლევენ 5000 მ. ღერბ დაკრულ განცხადებ და შემოაქვთ გირაოთ გამოცხადებულ ფასის რაოდენობის ერთი მეოთხ ნაწილი. აღნიშნულ თევზის საჭერ ადგილების გაცემის შესახებ კონდი ების განხილვა შეიძლება განყოფილებაში 12 საათიდან დღის 3 საათამ

კრ. 53—2—

ამიერ-კავკასიის საბაჟოს სამმართველოსაგან

ცხადდება ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციების და პირთა საყურადღებოთ, რომ ამიერ-კავკასიის საბაჟოს სამმართველოსადმი გაცემულ ბრძანების თანახმად 5 იანვრის თარიღით და 74 №-ით საქონელზე, რომელიც შემოტანილია საზღვარგარეთიდან ამიერ-კავკასიის საბაჟოში 1922 წ. 10 სექტემბრამდე, გადასახადი აღებული იქნება ძველი სატარიფო განაკვეთის მიხედვით, მხოლოდ ამა წლის 20 იანვრამდე. იმ საქონელზე კი, რომელიც არ იქნება გამოყიდული ამა წლის 20 იანვრამდე, სამმართველო აიღებს ბაჟებს უკვე იმ ტარიფის მიხედვით, რომელიც შესულია ძალაში 1922 წ. 10 სექტემბრიდან (რუს. საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის საბაჟო ტარიფი ევროპიულ ვაჭრობისათვის, 14 თებ. 1922 წ).

საქმეთა მმართველი ა. გოლოვანი.

კრ. 33—3—3

სასოფლო-სამეურნეო და შინა-მრეწველობის

გამოფენა

მოსკოვში საზღვარ-გარეთის განყოფილებით 1923 წელს

ცენტრალურ გამოფენის ადგილი: ყირიმის ხიდის იქით მოედანი და „ნესკუჩნი სადი“.

გამოფენის დრო: 1923 წ. 15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე. გამოფენაში იღებენ მონაწილეობას რუსეთის საბჭ. ფედერ. სოც. რესპუბლიკაში და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში შემავალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებანი და წარმოებანი კოლექტიური და კერძო მეურნეობანი და წარმოებანი.

საზღვარ-გარეთის განყოფილებაში მონაწილეობენ საზღვარ-გარეთის დაწესებულებები და წარმოებანი.

გამოფენას აქვს ნიმუშების ბაზრობის უფლება

საუკეთესო ექსპონატების წარმოდგენისათვის დაწესებული იქნება ჯილდო და პერსონალური პრემიები

გამოფენის განყოფილებანი: 1. სამეცნიერო-საგანმანათლებლო, 2. სასოფლო-სამეურნეო და ტყის საცდელი საქმე, 3. მიწათმოქმედება, 4. ტყის საქმე, 5. საქონლის მოშენება, 6. სამეწველო, 7. [illegible] საქმე, 8. მიწის მუშაობის პროდუქტების შენახვა და გადამუშავება, 9. საქონლის და მეცხოველეობის პროდუქტები, 10. შინა მრეწველობა, 11. კოოპერაცია, 12. მიწის მოწყობის და კოლონიზაციის საქმე, 13. სასოფლო მეურნეობის საინჟინრო საქმე, 14. [illegible] და ყოფა-ცხოვრება, 15. შრომა, 16. სავაჭრო [illegible] საქმე, 17. სასოფლო მეურნეობის და ტყის მეურნეობის სახელმწიფოებრივი გეგმა, 18. საზღვარ-გარეთის ექსპონატები

ცნობების მისაღებად და წინადადებისათვის მიმართეთ დილის 10—12 საათამდე ტფილისი, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი, საქართველოს გამოფენის კომიტეტს ტელ. 9—63.

გამოფენის კომიტეტი: თავმჯდომარე ვ. ვ. კანდელაკი.
თავმჯდომარის მოადგილე ი. ზ. ანდრონიკაშვილი.
წევრნი: ი. ზ. ვინოგრადოვი-ნიკიტინი.
მდივანი ვ. ნაზაროვი.

(2—1)

[illegible] ს. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა კალოუბნის ქ. № 4.